მკვლელობა მაფიოზური კლანების შეკვეთილი იყო A3

ცნობილი ტერორისტი მოკლული იპოვეს A3

მაინც რა იყო ეს „ბკჩვ"?! B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 21 აგვისტო, 2002 წელი. №80

ფასი 50 თეთრი

## ხელისუფლება პანკისში ჩასატარებელი ოპერაციის დეტალებს არ აზუსტებს

ეკა კვესიტაძე

**"ეს სპეციალური ოპერეციაა და ამიტომ მასთან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია საიდუმლოა,"** - ასეთი განცხადება გუშინ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვალერი ჩხეიძემ გააკეთეს. უშიშროების საბჭოს მდივნის მტკიცებით, პანკისში სპეცოპერაციაში მხოლოდ ქართველები მიიღებენ მონაწილეობას და მასში ამერიკელი სამხედროები არ ჩაერევიან.

თედო ჯაფარიძე და ვალერი ჩხეიძე გუშინ პანკისის ხეობაში ამერიკელ სენატორებს ჯონ მაკკეინსა და ფრედ ტომპსონს ახლდნენ.

**"სენატორებს უნდოდათ, თავად ენახათ, როგორი ვითარებაა საქართველოსა და რუსეთის საზღვარზე. სიტუაცია მძიმეა, მაგრამ სენატორები თავად დარწმუნდნენ, რომ იქ საზღვრის აბსოლუტური ჩაკეტვა შეუძლებელია, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ საზღვრის გაძლიერება აუცილებელია,"** – განაცხადა ვალერი ჩხეიძემ. მისივე თქმით, ორ დღის წინ საზღვარი ორმა ჩეჩენმა გადმოკვეთა, რომელთაგან ერთ-ერთი შეიარაღებული იყო. ჩეჩნები ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს და მათ შესახებ რუს სამართალდამცავებს აცნობეს.

**"მე საზღვრის ექსპერტი არა ვარ. მაგრამ ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ სიტუაცია ძალიან დაძაბულია. იმისათვის, რომ ვითარება განიმუხტოს, საჭიროა, რუსეთი და საქართველო მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. ამ პროცესის დაწყებას, ალბათ, ამერიკის ჩარევაც გააადვილებს,"** - ასე შეაფასა სიტუაცია თავად სენატორმა მაკკეინმა.

გაგრძელება A2 გვერდზე




*პანკისიდან დაბრუნებული კონგრესმენები*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## ნატო-მდე ჯერ კიდევ რთული გზაა გასავლელი

თეა გილიგაშვილი

**"არა, ნატო-ს კარი თქვენთვის მთლად დახურული არ არის, მაგრამ მისი წევრობის დიდ ამბიციას დიდი შრომა სჭირდება!"** –ასე დაგვაიმედა გუშინ, სასტუმრო "თორში" გამართულ პრესკონფერენციაზე ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილემ დიტერ შტოკმანმა. გენერალი თბილისში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა და მრავალრიცხოვან შეხვედრებზე, როგორც თავად აღნიშნა, ძირითადად ორ საკითხს განიხილავდა: იმ გამოცდილების შეფასება, რომელიც ქართულმა არმიამ კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციებში თავისი ოცეულის ჩართვით შეიძინა და საქართველოს მონაწილეობა ნატო-ს პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის".

კოსოვოში ჩვენს ოცეულებს ძალიან უვაჟკაციათ; ისინი, თურქული ბატალიონის შემადგენლობაში, გერმანიის პასუხისმგებლობის ზონაში არიან და ადგილობრივი და თურქული ენაც მშვენივრად უსწავლიათ, არც უახლეს შეიარაღებასთან ურთიერთობა გაუჭირდათ და მიცემულ დავალებებსაც პროფესიულად უმკლავდებოდნენ. სამომავლოდ, გენერალს სურვილი აქვს, რომ კოსოვოში ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობა გაიზარდოს. რაც შეეხება ნატო-ს პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისათვის", არც აქ გვაქვს საქმე ურიგოდ. მოკლე ხანში საქართველოში ნატო-ს რეგიონული წარმომადგენლობა გაიხსნება, თუმცა, გელა ბეჟუაშვილის განცხადებით: **"ეს არ არის მუდმივი სტრუქტურა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## საქართველოს ახალი ინიციატივა

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისათვის"*

***სამშაბათს საქართველოში დასრულდა ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის, გენერალ დიტერ შტოკმანის ვიზიტი, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ გახდა ნათელი - მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ნატო-ს სტრუქტურებთან, ეს სრულიადაც არ არის საკმარისი პირობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის. თუმცა, ნატო-ელი მაღალჩინოსნის ვიზიტს დაემთხვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპის ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა მომდევნო სამიტზე, საქართველო აპირებს წამოჭრას საკითხი თბილისში ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციათა მომზადების რეგიონული ცენტრის გახსნის თაობაზე.***

მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში საქართველომ "მშვიდობისათვის პარტნიორობის" ორ მრავალეროვნულ სწავლებას - "ზესტ ეფფორტ 2002"-სა და "ეთერნეთ 2002"-ს უმასპინძლა. ნატო-ს სტანდარტებითა და სამშვიდობო-ჰუმანიტარული სცენარით ჩატარებული ამ მანევრებით საქართველოს სამხედრო უწყებამ ორმაგად იხეირა - ქართველი სამხედროები კიდევ ერთხელ ეზიარნენ თანამედროვე სამხედრო გამოცდილებას და ვაზიანის ბაზაც, სადაც სწავლება ტარდებოდა, გარემონტებული ყაზარმებითა და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტებით, ასევე ოდნავ მიუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პოლიტიკური სამკუთხედი: შევარდნაძე - ჟვანია - სააკაშვილი

"აიღებ არაფერს, მიიღებ ვერაფერს..."

*ქართული პოლიტიკის სიბრძნე*

ია ანთაძე
*რადიო "თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისათვის"*

იმის შემდეგ, რაც საქართველოში დემოკრატია მკვიდრდება, პოლიტიკური ცხოვრება არასოდეს ყოფილა იმდენად კლასიკურად დემოკრატიული, რამდენადაც დღეს. საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველად, სწორედ ბოლო თვეების განმავლობაში ყალიბდება დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი პოლიტიკური ჯგუფი: კონსერვატიული, რადიკალური და ლიბერალური.

სამივე პოლიტიკური ჯგუფი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავს, მაგრამ ეს ინტერესები აისახება არა პარტიების საქმიანობასა და დეკლარირებულ პროგრამებში, არამედ – ლიდერების პოლიტიკურ ხატში. კონსერვატორების ლიდერი ედუარდ შევარდნაძეა, რადიკალების – მიხეილ სააკაშვილი, ლიბერალების – ზურაბ ჟვანია. სწორედ მათ მიერ შეთავაზებულ გზებზე მოუხდება ადგილის ტკეპნა, სვლა ან დინება ჩვენს ქვეყანას უახლოესი წლების განმავლობაში. საზოგადოებაც, დემოკრატიული არჩევანის გაკეთებისას, ამ სპექტრს ვერ ასცდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## შევარდნაძის მთავრობაში ისევ რამდენიმე ნაღმია ჩადებული...

თამარ ხორბალაძე

*საქართველო-რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბულმა ურთიერთობამ, ომის დაწყების სერიოზულმა საშიშროებამ, კოდორის და პანკისის მოვლენებმა ბოლო პერიოდში გადაწონა ყველა ის შიდაპოლიტიკური თემა, რომელიც სასექტემბროდ თავს ისევ აუცილებლად შეგვახსენებს.*

*თუმცა, წლევანდელი ზაფხული საკმაოდ საინტერესო გამოდგა შიდასამთავრობო პოლიტიკური დინებების თვალსაზრისით. ამ ზაფხულმა საკმაოდ ნათლად გამოაჩინა, რომ მთავრობა დღეს, ჯორბენაძის სახით გამოჩენილი "ძლიერი ხელის" მიუხედავად, სულაც არ არის ისეთი მონოლითური, როგორიც ეს მთავრობის წევრთა გახმაურებული "გაპარტიულების" დროს ჩანდა.*

რეალურად, ჯორბენაძეს საქართველოს პრეზიდენტმა მართლაც საკმაოდ დიდი ძალაუფლება მისცა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანცელარია დღეს, ძირითადად, ერთი ადამიანის კონტროლზეა აყვანილი, ისევე, როგორც "მოქალაქეთა კავშირი" და "პარტიაში შესული" მთავრობა.

იქ უკვე აღარც ბასილია ქუხს, როგორც ადრე, არც რეგიონული სამსახურის უფროსია ფიგურა, რომელსაც დამოუკიდებლად თამაში შეუძლია, აღარც საჯაიაა, რომელიც სერიოზული საკადრო და ზოგადად - დაბალანსების პოლიტიკის მწარმოებლად გვევლინებოდა, პეტრე მამრაძე კი ის სახელმწიფო მოხელეა, რომელიც ამ წლებში არ აღიქმებოდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად...

ამასთან ერთად, ავთანდილ ჯორბანაძემ მოიპოვა საკმაოდ

გაგრძელება A4 გვერდზე

## "იტერამ" ურეკსა და მანავსაც დაადგა თვალი

"აზოტის" კუთვნილი სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები - კულტურის სახლი, სპორტკომპლექსი, პანსიონატები - "ურეკი" და "მანავი", რომლებიც დღემდე მის საწესდებო კაპიტალში არ არის შეტანილი, შესაძლებელია, ქარხანასთან ერთად, "იტერას" საკუთრებაში აღმოჩნდეს. ამის თაობაზე გუშინ რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა განაცხადა: **"ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების გასხვისება ფარული გზით ხდება. ეს ეხება "აზოტის" ობიექტებს. "აზოტის" ხელმძღვანელობამ, რატომღაც გადაწყვიტა, წერილი მიეწერა ქონების მართვის სამინისტროსთვის თხოვნით, ეს ქონება საწესდებო კაპიტალში ყოფილიყო შეტანილი. რისთვის? იმისთვის, რომ კომპანია "იტერას" დავუტოვოთ საჩუქრად და ქალაქს წავართვათ მილიონობით ქონება?"**

მცირე წინაისტორია: აგვისტოს დასაწყისში სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის სახელზე რუსთავის მერი აგზავნის წერილს და ითხოვს, **"აზოტისა" და "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" საწესდებო კაპიტალში არშესული ობიექტების სადამფუძნებლო დოკუმენტების კანონის შესაბამისად მოწესრიგებას და მუნიციპალური ქონების ბაზაზე მათი ქონების 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით დაფუძნებას".** სამინისტრომ ამის გაკეთება თავის ადგილობრივ სამსახურს დაავალა, რომელმაც "აზოტსა" და "მეტალურგიას" ობიექტების ნუსხის წარდგენა მოსთხოვა. ეს პროცესი "იტერასათვის" "აზოტის" გადაცემის პროცესის დაწყებას დაემთხვა. "აზოტმა" მოთხოვნილ ნუსხას წერილი დაურთო, სადაც წერია: **"აზოტი" მიმართავს აქციონერთა საერთო კრებას, საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნას სპორტკომპლექსი, ქიმიკოსთა კულტურის სახლი, პანსიონატები - "ურეკი" და "მანავი".**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | |
| ქუთაისი | 31 | |
| ბათუმი | 28 | |
| სოხუმი | 29 | |
| ფოთი | 28 | |
| თელავი | 29 | |
| ზუგდიდი | 31 | |
| გორი | 27 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1282 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3214 |
| რუბლი | 0.0688 |

## ლიკვიდირებული ყაჩაღი და დაჯილდოებული პოლიციელები

თამარ კაციტაძე

გუშინ, დილის შვიდ საათზე თბილისი-მცხეთის ტრასის მე-17 კილომეტრზე მდებარე ხიდზე სნაიპერის მიერ გასროლილი ერთი ტყვიით ოქროულობისა და ოთხი მძევლის გამტაცებლის ლიკვიდაცია მოხდა.

გალიდან იძულებით გადაადგილებული, თბილისის აეროპორტის დასახლებაში მცხოვრები 21 წლის ლუხუმ ჯახია ისე გამოესალმა სიცოცხლეს, რომ მისი რეალური ვინაობა არავინ იცოდა.

ყველა მძევალი: ნანული ჯიოშვილი, გელა გლუნჩაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და მალხაზ აბრამიშვილი დღეს უკვე თავისუფლები არიან და გამოძიებას მომხდართან დაკავშირებით რეალური ინფორმაციას აწვდიან.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ყაჩაღი ლიკვიდირებულია*

ბესო გულაშვილის ფოტო

## მკვლელობა მაფიოზური კლანების შეკვეთილი იყო

აცხადებს იგნასიო ირიბარენი

სოფო კვინტრაძე

**"ნიკა ლომინაძის მკვლელობა არ იყო ემოციურ ნიადაგზე ან პირადი ანგარიშსწორების მიზნით ჩადენილი. იგი შემთხვევით არ მოუკლავთ, მკვლელობა დაკვეთილი იყო და მისმა შემსრულებელმა ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა,"** – დაბეჯითებით აცხადებს კომპანია "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი. ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე "თელასის" ხელმძღვანელებმა კომპანიის ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობასთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს. მიუხედავად იმისა, რომ არც იგნასიო ირიბარენს და არც სპეციალურად ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ჩამოსულ "ეი-ი-ეს" კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტს გარი ლევსლის კონკრეტული მტკიცებულებები არ გააჩნიათ, ისინი მაინც ცალსახად აცხადებენ, რომ ნიკა ლომინაძის მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება. მათი განცხადებით, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მოქმედებენ მაფიოზური კლანები, რომლებიც ენერგეტიკაში, კერძოდ, კომპანია "ეი-ი-ეს თელასში" მიმდინარე რეფორმებისთვის ხელის შეშლით არიან დაინტერესებული. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ ნიკა ლომინაძე კომპანია "ეი-ი-ეს თელასში" ყველაზე მაღალი თანამდებობის ქართველი იყო. გარი ლევსლი აცხადებს, რომ ლომინაძე თავისი საქმის პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, რამაც

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 თვალსაზრისი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

**თბილისი.** რუსეთის „გაზპრომსა“ და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას შორის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ მოლაპარაკებები სექტემბერის ბოლოს განახლდება, - განუცხადა გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა ალეკო გოცირიძემ.

მისი თქმით, შიდა პრობლემების გამო, მოლაპარაკებები შეჩერებული იყო. ამ პროექტს მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, ისევე, როგორც მრავალი მომხრე“, - აღნიშნა გოცირიძემ. აქედან გამომდინარე, მისივე თქმით, საჭიროა საკითხის სერიოზული მომზადება.

რუსეთთან ერთობლივი საწარმოს შექმნის შემდეგ რუსული მხარე თავის თავზე იღებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გაზსადენის რეაბილიტაციას. გოცირიძის თქმით, სქემა ჯერ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული. მოლაპარაკებების განახლების მიზნით მოსკოვს ჯერ საქართველოს მხარე ეწვევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფ სამშვიდობოთა მანდატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველო რუსეთისაგან პრინციპულ გადაწყვეტილებას ელოდება, - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ.

მისი თქმით, საქართველო, 31 ივლისიდან სამშვიდობოთა მანდატის 6 თვით გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გალის რაიონის მთელს ტერიტორიაზე სამშვიდობოებისათვის მანდატის გაფართოებისა და დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებისათვის საერთაშორისო ეგიდით, ერთობლივი ადმინისტრაციის შესაქმნელად რუსეთის მხრიდან რეალური ნაბიჯების გადადგმას იმედოვნებდა. “სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით არ ხდება”, - თქვა კახა სიხარულიძემ.

"თუ ამ საკითხზე სტაგნაცია გაგრძელდება, მაშინ ასეთი პრეცედენტი რუს სამშვიდობოთა მანდატის ამოწურვის მომდევნო თარიღისას, საქართველოს გადაწყვეტილებაში აისახება", - აღნიშნა მან.

დიპლომატის ინფორმაციით, საქართველო დსთ-ს სამშვიდობოთა ინტერნაციონალიზაციაზე უარს არ ამბობს, რომლებიც მხოლოდ რუსეთის ძალების სახით 1994 წლიდან კონფლიქტის ზონაში არიან წარმოდგენილნი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** 18 სექტემბერს ბაქოს ახლოს მდებარე სანგაჩალის ტერმინალში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა საზეიმოდ გაიხსნება. აზერბაიჯანული ტელეკომპანია “ა-ენ-ესის” ცნობით, ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები, აგრეთვე აშშ-ს წარმომადგენელი კასპიის საკითხებში სტივენ მანი.

ამასობაში, შაჰდენიზი-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის დაწყება კვლავაც ყოვნდება. როგორც “ბიპი-აზერბაიჯანის” პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა, მშენებლობა ნავარაუდევი 2003 წლის ნაცვლად, 2004 წელს დაიწყება. შესაბამისად, ერთი წლით გადაიწევს მისი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი – გაზის პირველი ნაკადი მილსადენში, ალბათ, 2006 წელს გაივლის. **“24 საათი”**

■ ■ ■

**მარნეული.** მარნეულის რაიონის სოფელ საბირქენდში ბოლო ორი კვირის მანძილზე მუცლის ტიფის 15 შემთხვევა დაფიქსირდა. გასულ კვირას მიზეზების გამოსაკვლევად საბირქენდში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელები ჩავიდნენ. ქვემო ქართლის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსის თამაზ მურჯიკნელის ინფორმაციით, მათ დაავადების კერა მოიკვლიეს და ის, არც მეტი არც ნაკლები, სოფელში გამავალი სარწყავი არხი აღმოჩნდა. მურჯიკნელი აცხადებს, რომ სოფლის მოსახლეობას ტუალეტები ამ არხზე აქვს აშენებული და იქ გამუდმებით ჩაედინება ფეკალური მასები. მარნეულის სოფლებს სასმელი წყალი თითქმის არ მიეწოდება, ამის გამო მოსახლეობა იმ არხში იბანს ხელპირს, რეცხავს ჭურჭელს და ხანდახან სვამს კიდეც, სადაც მათივე ტუალეტების კანალიზაცია ჩადის. "ტუალეტები თუ არ მოიშალა, არაფერი შეიცვლება და მომავალში კიდევ უფრო მეტი შემთხვევები იქნება," - აცხადებს მურჯიკნელი და საქმის მოგვარებაში დახმარებას, რატომღაც, სამხარეო ადმინისტრაციისაგან ითხოვს. **“24 საათი”**

■ ■ ■

**ბათუმი**. უკრაინული მშრალი ტვირთების მზიდავი გემი “ერიდანი”, რომლის კორპუსის სიგრძე 120 მეტრია, საქართველოს ტერიტორიული წყლების დარღვევისათვის საზღვაო მესაზღვრეებმა დააკავეს.

როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა შალვა ლონდარიძემ განაცხადა, ამჟამად გემი დაპატიმრებულია და ბათუმის პორტშია გაჩერებული.

მისი თქმით, სასაზღვრო უწყებამ გემის მეპატრონეს ქვეყნის საზღვაო საზღვრის დარღვევისათვის 200 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმა წარუდგინა.

"ამასთან, საქართველომ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში შესძლო სასამართლოს მეშვეობით ასეთი სახის ჯარიმების ამოღება", - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**პანკისი.** ორი ჩეჩენი, რომელთაგან ერთ-ერთი შეიარაღებული იყო, საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე საგუშაგო “ხონეს” ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს. როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა შალვა ლონდარიძემ განაცხადა, დაკავებულები, არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებათა წევრობის საკითხის მოსაკვლევად, უშიშროების სამინისტროს გადაეცათ. "მომხდარის თაობაზე რუსეთის მხარეს ეცნობა", - თქვა მან.

დღეისათვის, თბილისში 3-თვიან წინასწარ პატიმრობაშია 13 ჩეჩენი ბოევიკი, რომლებმაც საქართველოს საზღვარი 3 და 4 აგვისტოს გადაკვეთეს.

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ქართველ კოლეგებს დაკავებულთა ექსტრადიციისათვის ყველა სათანადო მასალა გადასცა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**პანკისი.** შინაგანი ჯარი მზად არის პანკისის ხეობაში სპეცლონისძიების ჩასატარებლად და მხოლოდ საგანგებო განკარგულებას ელოდება, - განაცხადა საქართველოს შინაგანი ჯარების სარდალმა გიორგი შერვაშიძემ.

„პანკისის ხეობაში სიტუაციის დაძაბვამდე არსებობდა ე.წ. სამობილიზაციო გეგმა, რომელიც, როგორც წესი, თითოეულ საზღვრისპირა რეგიონზეა გაანგარიშებული. სპეცლონისძიება ეტაპობრივად შესრულდება. ამჟამად, ალბათ, დადგა დრო, უფრო ღრმად შევიდეთ ხეობაში. პანკისში შინაგანი ჯარის კონტინგენტი დამოკიდებულია კონკრეტულ დავალებაზე“, - აცხადებს სარდალი.

მისივე თქმით, ამჟამად პანკისის ხეობაში სამი ბლოკსაგუშაგო, ხუთი საკონტროლო გამშვები პუნქტი, ერთი სარეზერვო ბაზა და საგუშაგოებს შორის არსებული საპატრულო მარშრუტები ფუნქციონირებს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ახალი საგუშაგო გაიხსნება, რაც სპეცლონისძიებაზეა დამოკიდებული.

„საგუშაგოებზე სამსახურის სურვილი ბევრმა ქისტმაც გამოთქვა. თითოეულ ადამიანს, ვისაც ვიღებთ შინაგან ჯარში, განურჩევლად ეროვნებისა, დეტალურად ვსწავლობთ“, - აღნიშნა შერვაშიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ძალების წარმომადგენლის, რამდენიმე დღის წინ, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ზნაურის რაიონიდან გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის ძებნა ამ ეტაპზე უშედეგოდ მიმდინარეობს.

ამის შესახებ განაცხადა სამშვიდობოთა ქართული ბატალიონის სარდალმა, პოლკოვნიკმა მიხეილ ქებაძემ. მისი თქმით, ძებნაში, მხარეთა სამართალდამცავ ორგანოთა გარდა, სამშვიდობოებიც მონაწილეობენ. ქებაძის განმარტებით, დურგლიშვილი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში მისი თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობდა.

ამასთან, როგორც სამშვიდობოთა სარდალმა, გენერალ-მაიორმა ვასილ პრიზემლინმა თქვა, კონფლიქტის ზონაში არსებული ყველა საგუშაგო გაძლიერებულია, ასევე ფორმირებულია სამშვიდობოთა მოძრავი ჯგუფები.

ზურაბ დურგლიშვილი 15 აგვისტოს საღამოს გაიტაცეს. იგი ცხინვალიდან ზნაურის მიმართულებით საკუთარი ავტომანქანა ვაზ-2107-ით მოძრაობდა, როდესაც სოფელ წუნართან რუსეთის ფედერაციის ნომრებიანი ავტომანქანა “ნივა” დახვდა, საიდანაც ორი, ავტომატებით შეიარაღებული ნიღბიანი პირი გადმოვიდა. მათ ვიცე-პოლკოვნიკი ძალის გამოყენებით ჩასვეს თავიანთ ავტომანქანაში და ცხინვალის მიმართულებით წავიდნენ. თავდამსხმელებმა დურგლიშვილის ავტომანქანაში მყოფი 5 თანასოფლელი ქალი უვნებლად დატოვეს ადგილზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**კოდორი.** ქართული მხარის მიერ კონტროლირებად კოდორის ხეობაში, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მონიტორინგის მუდმივმოქმედი პუნქტის გახსნის შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტრო უსაფრთხოების გარანტიებს იძლევა. ამის შესახებ განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილმა.

მისი თქმით, არ არსებობს აუცილებლობა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე რუს სამშვიდობოთა მონიტორინგის მუდმივმოქმედი პუნქტი გაიხსნას, რამდენადაც გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ყოფნა საკმარისი იქნება. დღეისათვის, გაეროს სამდივნო საქართველოს ზემოხსენებულ ინიციატივას განიხილავს, - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

"დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აფხაზეთის მხრიდან პროვოკაციების თავიდან აცილება შესაძლებელი გახდება", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ამსტერდამი.** 22 აგვისტოს თბილისს ეწვევა ჰოლანდიური კორპორაცია „ჯონ ენსედე ბანკნოტს“-ის წარმომადგენელი, რომელიც 5-ლარიანი კუპიურის სწორი ვარიანტის დაბეჭდვასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად განცხადების გაკეთებას აპირებს. ამის შესახებ ეროვნულ ბანკში განაცხადეს. **მედია-ნიუსი**

# ნატო-მდე ჯერ კიდევ რთული გზაა გასავლელი

პირველი გვერდიდან

**ეს იქნება, უბრალოდ, რეგიონული ოფისი, რომელიც გააკონტროლებს მხოლოდ ნატო-ს პროგრამის “პარტნიორობა მშვიდობისათვის” შესრულებას და კურირებას გაუწევს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.”**

გენერალი დიტერ შტოკმანი პრესკონფერენციაზე საკმაოდ თავშეკავებული იყო საქართველო-რუსეთის ბოლო დროს გამწვავებული ურთიერთობის შეფასებისას. მისი განცხადებით, ეს ვიზიტი ჯერ კიდევ იანვარში იყო დაგეგმილი და მის შესახებ აცნობა კიდეც რუსეთის ხელისუფლებას, რათა გაუგებრობები თავიდან აგვეცილებინა.

2002 წლის ნოემბერში პრაღაში გაიმართება ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის უკვე ლეგენდადქცეული სამიტი, სადაც რამდენიმე ქვეყნის მიღების საკითხი განიხილება. საქართველომ, შეიძლება, ნოემბერშივე შეიტანოს განცხადება ნატო-ს წევრობაზე, თუმცა, ნატო-ს სარდლობის მაღალჩინოსანმა ამ განცხადების შეფასებაზეც შეიკავა თავი. სამაგიეროდ, მოიწონა საქართველოს სურვილი, ჩაერთოს გლობალურ ანტიტერორისტულ კამპანიაში. **“ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არის პოლიტიკური საკითხი და საბრძოლო ოპერაციები მისი მხოლოდ მცირე ნაწილია. 11-**



*გელა ბეჟუაშვილი და დიტერ შტოკმანი*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**მა სექტემბერმა ბევრი რამ შეცვალა. ჩვენ ყველასთან ვთანამშრომლობთ, ვინც მხარს გვიჭერს ტერორიზმთან ბრძოლაში,”** – ასე გაუხსნა გენერალმა გზა საქართველო-ნატო-ს მომავალში უფრო აქტიურ თანამშრომლობას და დაგვაიმედა, რომ სულაც არ იქნება პრობლემა, თუ ჩვენი არმიის ახლანდელი შეიარაღება ნატო-ს სტანდარტებს არ შეესაბამება.

**“უახლესი შეიარაღება ძალიან ძვირი სიამოვნებაა. ჩვენ უნდა მივუახლოვდეთ ნატო-ს სტანდარტებს ინსტიტუციონალური მოწყობით. ჯერ უნდა გავზარდოთ ოფიცრები და ჯარისკაცები და მერე ვიფიქროთ უახლეს შეიარაღებაზე!”** – ასევე იმედიანად დაასრულა პრესკონფერენცია თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა.

ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილე, გენერალი დიტერ შტოკმანი საქართველოდან გუშინ გაემგზავრა.

# საქართველოს ახალი ინიციატივა

პირველი გვერდიდან

გაქართულებული ვაზიანის ბაზა უქმად რომ არ მოცდენილიყო, პირველად სწორედ მაშინ წამოიჭრა საკითხი, ნატო-ს პროგრამის ფარგლებში სამშვიდობო ოპერაციების რეგიონული ცენტრის თბილისში დაარსების თაობაზე. და ეს ინიციატივა დავით თევზაძემ ბრიუსელში ჯერ კიდევ აპრილში გაუზიარა თავის კოლეგებს და ნატო-ს ხელმძღვანელობისგან თანადგომა ითხოვა. ნატო-ს რეგიონული ოფისის დანიშნულებას თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი ასე განმარტავს:

გელა ბეჟუაშვილი: **"ეს არის ოფისი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მშვიდობისათვის პარტნიორობის სწავლებების დაგეგმარებას. ასეთი ოფისები არსებობს თურქეთში, სხვა ქვეყნებში. ჩვენს შემთხვევაში ვფიქრობდით რეგიონულ ოფისზე, რომელიც დაფარავს სომხეთსა და აზერბაიჯანს და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი თანამშრომლობისათვის."**

ბუნებრივია, ასეთი ოფისის შექმნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნატო-სთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, თუმცა, ასეთი საკითხების დადებითად გადაწყვეტას გარკვეული დრო და, რაც მთავარია, ფინანსების მოზიდვა სჭირდება. ფული კი, რა თქმა უნდა, ნატო-ს შტაბ-ბინამ უნდა გამოყოს. "იდეა ჩვენი, ფული - თქვენი" - ფაქტობრივად ასე ჟღერს თბილისის ახალი ინიციატივა, მაგრამ ასეთი "პატარა ეშმაკობები", როგორც ირკვევა, შესაძლოა, სავსებით მისაღები იყოს ნატო-სთვის, რომლის, რანგით მეორე, სამხედრო პირმა, გენერალმა შტოკმანმა სამშაბათს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კავკასიის რეგიონის სტაბილურობა, ალიანსის გრძელვადიან ინტერესებში შედის.

გენერალი დიტერ შტოკმანი: **"ჩვენ იმის დემონსტრირებას ვახდენთ, რომ ყველა ეროვნებასთან მუშაობა შეგვიძლია. და მე ვფიქრობ, რომ სტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში, რომლის მთავარი გარანტი საქართველო ხდება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმ ოპერაციაში, რომელიც მთელ მსოფლიოში ტარდება."**

ბუნებრივია, აქ გენერალი შტოკმანი გლობალურ ანტიტერორისტულ ოპერაციას გულისხმობს, რომლის ერთ-ერთ მგრძნობიარე უბანს, საერთაშორისო ექსპერტების აღიარებით, პანკისის ხეობაც წარმოადგენს. რაც შეეხება საქართველოში ნატო-ს რეგიონული ოფისის დაარსებას, ეს იდეა ჯერ მხოლოდ ემბრიონულ მდგომარეობაშია და ამ საკითხის განხილვას, ნატო-ს შტაბ-ბინა, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ დეკემბრისთვის მიუბრუნდება.

# ხელისუფლება პანკისში ჩასატარებელი ოპერაციის დეტალებს არ აზუსტებს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ამერიკის ადმინისტრაციის მიერ საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად გამოყოფილ დახმარებას, ვალერი ჩხეიძემ აღნიშნა, რომ 10-მილიონიანი დახმარების ბიუჯეტი უკვე განისაზღვრა და მის გაზრდაზე საუბარი მხოლოდ ექსტრემალური სიტუაციის შექმნის შემთხვევაშია შესაძლებელი.

**“ჩვენი საზღვარი ჩვენვე უნდა დავიცვათ, ამერიკელი კოლეგები ამაში მხოლოდ დაგვეხმარებიან, ეს ჩვენი მოვალობაა, მეტი ყურადღება მივაქციოთ საკუთარი ქვეყნის საზღვრის გამაგრებას,”** – განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

პანკისის ხეობაში შექმნილი სიტუაციის კომენტარისას სენატორმა მაკკეინმა განაცხადა, რომ პანკისის პრობლემის მოგვარება მთლიანად საქართველოს ხელისუფლების საქმეა და ამერიკელები ამაში არანაირი ფორმით არ ჩაერევიან. **“ფაქტია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში პანკისში სიტუაცია ძალიან დაძაბულია. მხოლოდ ის შემიძლია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ ოპერაციის ჩასატარებლად წარმატება ვუსურვო.”**

გუშინვე, საქართველოს საზღვრის მონახულების შემდეგ, ორივე სენატორი კრწანისის საწვრთნელ პოლიგონზე ამერიკელ ინსტრუქტორებსა და ქართველ ჯარისკაცებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ მისტერ მაკკეინი აცხადებდა:

**”ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალიზმი შთამბეჭდავია. ძალიან სასიამოვნოა იმის ნახვა, როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთში ქართველი და ამერიკელი სამხედროები. ჩვენ ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, მჯერა, ისინი ერთობლივად სერიოზულ წარმატებებს მიაღწევენ.”**

სამხედროებთან შეხვედრის შემდეგ სენატორების ორდღიანი ვიზიტი საქართველოში დამთავრდა.

*ეკონომიკა*

# "იტერამ" ურექსა და მანავსაც დაადგა თვალი

პირველი გვერდიდან

“აზოტის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო არეშიძე ადასტურებს, რომ მათ მართლაც მიაწოდეს ქონების მართვის ადგილობრივ სამსახურს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ობიექტების ნუსხა და მისწერეს იმის შესახებ, რომ სურვილი აქვთ, ისინი საწესდებო კაპიტალში შეიტანონ. თუმცა, როგორც არეშიძე განმარტავს, ეს მანამდე გაკეთდა, სანამ გაირკვეოდა, რომ “აზოტს” “იტერა” ყიდულობდა. **“ეს პრობლემა დღეს აღარ არსებობს. ბოლო დღეებში გაირკვა, რომ ხელისუფლება ქარხანას პირდაპირი წესით გაყიდის, ამიტომ “აზოტი” ამ ობიექტების საწესდებო კაპიტალში შეტანას უკვე აღარ აპირებს. ქალაქის მერმა იცის ამის შესახებ”**, - აღნიშნა არეშიძემ. რაც შეეხება ამ ობიექტების ქალაქისათვის გადაცემას, იგი აცხადებს, რომ ეს საკითხი ქონების მართვის სამინისტროს გადასაწყვეტია და არა ქარხნის ხელმძღვანელობის.

“აზოტის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაციას რუსთავის მერი, ეტყობა, არ იჯერებს. იგი აცხადებს, რომ თავდაპირველად მინისტრი პავლიაშვილი მას დაჰპირდა ქალაქისათვის “აზოტისა” და “მეტალურგიის” ქონების გადაცემაში დახმარებას, **“მაგრამ დღეს უკვე მის ხმაში ის ტემბრი აღარ ჩანს”**, - აღნიშნავს მერი. “აზოტის” ქონებისათვის ბრძოლის პარალელურად, ტყეშელაშვილი ქალაქის უკვე დაკარგულ ქონებას მისტირის და აცხადებს, რომ მის ქალაქში ტროტუარები და ავტობუსის გაჩერებებიც კი გაყიდულია.

რამდენად ფასეულია ქონება, რომელსაც ტყეშელაშვილი კბილებით იცავს? განსაკუთრებული აქცენტი ურეკის პანსიონატზე კეთდება, რომლის დღევანდელი საბალანსო ღირებულება სულ რაღაც 38 ათასი დოლარია. მასში შედის მხოლოდ ხის 40-მდე კოტეჯი, რომელიც გერმანელმა ტყვეებმა 40-იან წლებში ააშენეს, ტერიტორია კი, სადაც პანსიონატია განთავსებული, არა ქარხანას, არამედ სახელმწიფოს ეკუთვნის. იგივე სიტუაციაა მანავშიც და ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული. საქმე ისაა, რომ პანსიონატი “ურეკი” დაახლოებით ოთხ ჰექტარზეა განთავსებული. არსებული კანონით, ამ მიწის შესყიდვის უფლება პანსიონატის მფლობელს მიმდინარე წლის ნოემბრამდე აქვს. ვინც ახლა კოტეჯების მფლობელი გახდება, ის ოთხი ჰექტარის პოტენციური მეპატრონეც იქნება. ჩვენი ინფორმაციით, “საქგაზის” გენერალურმა დირექტორმა ლეონიდ დეიკალომ ახლახან მოინახულა “აზოტის” “ურეკი”, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დაინტერესება “იტერას” მხრიდან მართლაც არსებობს.

*“24 საათი”*

# სალიცენზიო პირობები მხოლოდ კანონით უნდა განისაზღვროს

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ სასტუმრო “მეტეხში” “ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის,” “ინსტიტუციური რეფორმებისა და არასამთავრობო სექტორის ცენტრ - აირის-საქართველოსა” და იუსტიციის სამინისტროს მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე “სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ” კანონით გათვალისწინებული კანონპროექტების პრეზენტაცია შედგა.*

2002 წლის 12 მაისს მიღებულ იქნა კანონი “სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ”. ამ კანონის შექმნას საფუძვლად მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნის პროექტი დაედო. კანონის თანახმად, უნდა შემუშავებულიყო კანონპროექტები, რომლებშიც სრულად განიმარტებოდა სალიცენზიო-სანებართვო სახეობები, განისაზღვრებოდა მათი განხორციელების პირობები და მათი გამცემი სახელმწიფო სტრუქტურა. ეს კანონპროექტები “ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ,” “აირის-საქართველოსა” და იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით და კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის/ნებართვის გამცემ სტრუქტურებთან (ასეთი კი 21 სახელმწიფო სამსახურია) თანამშრომლობით მოამზადა. ეს კანონპროექტები, იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტების მიერ შემოწმებისა და შესაბამის უწყებებთან შეთანხმების შემდეგ მთავრობის სხდომაზე განიხილება.

კანონის თანახმად, ამ კანონპროექტთა პაკეტი პრეზიდენტმა 2002 წლის 1 სექტემბრამდე უნდა წარადგინოს პარლამენტში. კანონპროექტების მოსამზადებლად 29 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით მუშა შეხვედრები გაიმართა დაბა ბაკურიანში, სადაც 31 კანონპროექტი მომზადდა. ამჟამად იუსტიციის სამინისტროში ოფიციალურად მხოლოდ ექვსი კანონპროექტია წარდგენილი.

გუშინ გამართულ შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხოლოდ კანონით უნდა დადგინდეს სალიცენზიო-სანებართვო სახეობები და მათ მისაღებად საჭირო პირობები (მოთხოვნებისა და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზია-ნებართვის მაძიებელი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. ამ პუნქტმა ზოგიერთი სახელმწიფო უწყების უკმაყოფილება გამოიწვია. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი. **“ჩვენ ვითხოვთ, რომ მინისტრს ნორმატიული აქტის მიღების უფლება ჰქონდეს. ეს აქტი იქნება ცვალებადი, განახლებადი. თუ უწყება ვერ იმუშავებს იმ პერიოდისთვის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, მაშინ ამ ნორმატიული აქტით უფლება გვექნება, ჩამოვართვათ ლიცენზია. ეს სტანდარტები იმდენად სწრაფად ვითარდება და იცვლება, რომ ამის კანონისთვის დაქვემდებარება და კანონში ამდენი ცვლილების შეტანა რთული იქნება. ამიტომ ვითხოვთ მინისტრისათვის ნორმატიული აქტის მიღების უფლების მინიჭებას”**, - განაცხადა ვასილ ჭეიშვილმა.

საპირისპიროს ამტკიცებს “საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის” წარმომადგენელი შოთა გვენეტაძე. **“უწყებების დაჟინებული მოთხოვნაა, საკითხები კანონში კი არ ასახონ, არამედ ნორმატიული აქტებით გადაწყვიტონ. ამაზე კამათიც არ შეიძლება - კანონით უნდა განისაზღვროს ყველა სახეობა და ლიცენზიის მიღების პირობები. ძირითად კანონში ჩაიწერა, რომ აიკრძალა სხვა ნორმატიული აქტით რაიმე დამატებითი პირობების განსაზღვრა, რაც დაკავშირებულია ლიცენზიის და ნებართვის აღების საკითხთან. რაც შეეხება სტანდარტებს, ნორმებს, რა თქმა უნდა, ეს კანონში ვერ აღინიშნება, ეს უკვე ბაზრის შიგნით დასარეგულირებელი ნორმებია”**, - კანონზე დაყრდნობით აცხადებს შოთა გვენეტაძე.

შეხვედრის ორგანიზატორები კმაყოფილები არიან მუშაობით. მათი თქმით, ეს რეფორმა სამეწარმეო სფეროში სერიოზულ ძვრებს გამოიწვევს. შოთა გვენეტაძის თქმით, **“მაქსიმალურად ვცდილობთ, სამეწარმეო გარემოს ლიბერალიზაციის კუთხით წავიყვანოთ ეს კანონპროექტი, რაც, საბოლოოდ, ისეთ შედეგს გამოიღებს, რომ მოხდება პასუხისმგებლობის გადატანა მეწარმეზე და გაიზრდება სახელმწიფო სტრუქტურის დასაბუთების ხარისხი”.**

“ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში” იმედოვნებენ, რომ პარლამენტი ამ კანონპროექტთა პაკეტს პირველი მოსმენით მიიღებს. ამის შემდეგ ისინი აპირებენ, საკანონმდებლო ორგანოს ახალი წინადადებით მიმართონ. **“მას შემდეგ, რაც პარლამენტი პირველი მოსმენით მიიღებს პრინციპებს, ჩვენ ვაპირებთ, პარლამენტში სალიცენზიო-სანებართვო კოდექსის შექმნის შესახებ წინადადებით შევიდეთ. ეს იქნება ერთი დოკუმენტი, სადაც ყველა ნებართვა და ლიცენზია შევა”**, - განაცხადა შოთა გვენეტაძემ.

აქციონერთა საყურადღებოდ !

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს
ქ.რუსთავის ს.ს. "კონსტრუქციის"
საერთო დარბაზში 14:00-სთ-ზე
გაიმართება ს.ს. "კონსტრუქციის"
რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

## ისრაელის არმიამ ქალაქი ბეთლემი დატოვა

20 აგვისტოს პალესტინის უშიშროების ძალებმა პალესტინის ქალაქ ბეთლემში პატრულირება დაიწყეს. მათ ამის საშუალება მას შემდეგ მიეცათ, რაც ისრაელის არმიამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე აღნიშნული ქალქი დატოვა და გასაკონტროლებლად პალესტინის მხარეს გადასცა. ისრელის არმიამ ღაზას სექტორიდანაც დაიწყო გამოსვლა. აშშ-ს ადმინისტრაცია თელ-ავივის გადაწყვეტილებას მიესალმა და სამშვიდობო პროცესისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა. თეთრი სახლის განცხადებით, მოწინააღმდეგე მხარეებს შორის პირდაპირი კონტაქტების გაღრმავება ხელს შეუწყობს კონფლიქტის დარეგულირებას.

ორშაბათს ბეთლემის მერის ხანი ნასერის სახლში პალესტინის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა საგანგებო თათბირი ჩატარდა, რომელზეც ქალაქში წესრიგის დასამყარებლად გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარების საკითხები განიხილეს. მოგვიანებით ბეთლემში პირველი ასი პალესტინელი პოლიციელი შევიდა. ისრაელის მასმედიის ინფორმაციით, ქალაქიდან ებრაული არმიის ყველა შენაერთი და ტექნიკა უკლებლივ არის გაყვანილი.

ისრაელის არმიის მიერ ბეთლემის დატოვება თელ-ავივში ისრაელის თავდაცვის მინისტრისა და პალესტინის შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს. ამ გეგმის მიხედვით, ისრაელის არმიამ ეტაპობრივად უნდა დატოვოს ღაზას სექტორი და პალესტინის სხვა ქალაქები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პალესტინის უშიშროების ძალები თავის თავზე აიღებენ აღნიშნული ტერიტორიების გაკონტროლებას, პალესტინურ ქალაქებში წესრიგის დამყარებასა და ისრაელის წინააღმდეგ ტერაქტების შეწყვეტას. პალესტინის ადმინისტრაცია დაჟინებით მოითხოვდა ისრაელის არმიის გაყვანას იერიქონიდან, ბეთლემიდან, ჰებრონიდან და რამალადან. ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა კი ჯერჯერობით მხოლოდ ბეთლემი დატოვეს.


ისრაელის არმიის ჯარისკაცი REUTERS

ორმა რადიკალურმა დაჯგუფებამ - "ჰამასმა" და "ისლამურმა ჯიჰადმა" განაცხადეს, რომ, შეთანხმების მიუხედავად, ისინი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებენ. ბოლო სამ თვეში პალისტინელმა ტერორისტებმა 80-მდე ებრაელი მოკლეს.

## ჩრდილოეთ კორეის ლიდერი რუსეთს ეწვია

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი საკუთარი ჯავშნიანი მატარებლით რუსეთის ფედერაციის შორეულ აღმოსავლეთში ჩავიდა (შეგახსენებთ, რომ "მსოფლიოს ყველაზე უცნაური სახელმწიფოს" ლიდერს ფრენის შიში აქვს და საზღვარგარეთ მხოლოდ მატარებლით მოგზაურობს). მას რუსეთის საზღვართან პრიმორსკის მხარის გუბერნატორი სერგეი დარკინი და რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი შორეულ აღმოსავლეთში კონსტანინე პულიკოვსკი დახვდნენ. ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელმა თავისი ტურნე რუსეთში სწორედ პრიმორსკიდან დაიწყო. კიმ ჩენ ირი ვლადივასტოკს, ხაბაროვსკსა და ამურის კომსომოლსკს ეწვევა, სადაც სამრეწველო საწარმოების მონახულებას გეგმავს. მისი დელეგაციის წევრები გაეცნობიან შორეულ აღმოსავლეთში საბაზრო რეფორმების შედეგად მიღებულ გამოცდილებას. უკვე გაიმართა ჩრდილოეთ კორეის ლიდერის და რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლის კონსტანტინ პულიკოვსკის შორის მოლაპარაკება, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ასპექტებზე. მოლაპარაკება კიმ ჩენ ირის ვაგონში შედგა, რის შემდეგაც საპატიო სტუმარი ამურის კომსომოლენსკისაკენ გაეშურა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, შეხვდება თუ არა კიმ ჩენ ირს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.


კიმისა და პულიკოვსკის შეხვედრა REUTERS

## სამხედროთა დაუდევრობამ 105 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

"მი-26" შვეულმფრენის ავარიის მსხვერპლთა რიცხვმა 105-ს მიაღწია, იუწყებიან რუსული და ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები. "ძროხის" - ასე უწოდებენ სამხედროები ამ შვეულმფრენს - დიდი მასისა და მანევრირების შეზღუდული უნარის გამო, კატასტროფა, სავარაუდოდ, გადატვირთვამ გამოიწვია. ბორტზე, დასაშვები 85 მგზავრის ნაცვლად, 150 ადამიანი იმყოფებოდა. იქვე იყო ჯარისკაცების საყვარელი "გამამხნევებელი სასმელის" - იაფი ოსური არყის დიდი მარაგი.

როგორც ვიუწყებოდით, ხანკალის აეროპორტიდან სულ ახლოს ერთ-ერთ ძრავში ხანძარი გაჩნდა. პილოტი იძულებული გახდა, შვეულმფრენი ავარიულად დაესვა და დაშვება დანაღმულ მინდორზე განახორციელა.

ბოლო რამდნიმე თვის მანძილზე მეშვიდე შვეულმფრენის ჩამოვარდნამ ხელისუფლებიდამი უაღრესად ლოიალურად განწყობილი რუსული მასმედიაც კი აღაშფოთა, რომელმაც მომხდარის დამოუკიდებელი გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა. მედია ერთხმად ალაპარაკდა სამხედროთათვის დამახასიათებელ დაუდევრობაზეც. საერთო შეფასებით, 19 აგვისტოს მომხდარი კატასტროფა კურსკის ტრაგედიას მასშტაბებით დიდად არ ჩამოუვარდება. სამხედროები თავს იმით იმართლებენ, რომ თითქოს დაშვებამდე შვეულმფრენს ჩეჩნების მიერ ნასროლი საზენიტო რაკეტა მოხვდა.

## ცნობილი ტერორისტი მოკლული იპოვეს

ლევან ღირსიაშვილი

20 აგვისტოს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა ცნობილი საერთაშორისო ტერორისტის, 65 წლის აბუ ნიდალის ("ბრძოლის მამა") სიკვდილის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია. ორშაბათს, 19 აგვისტოს აბუ-ნიდალი ბაღდადში თავის სახლში მოკლული იპოვეს. პალესტინური გამოცემა "ალ აიამას" ინფორმაციით, ტერორისტის სხეულზე მიყენებული ჭრილობის ექსპერტიზამ თვითმკვლელობის ფაქტი დაადგინა. ბინაში სხვა პირის ყოფნის კვალი აღმოჩენილი არ არის. თუმცა, დასავლური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, იგი რამდენიმე ტყვიითაა მოკლული, რაც თვითმკვლელობას, ბუნებრივია, გამორიცხავს.

მისი ნამდვილი სახელი იყო საბრი ხალილ აბდელ კადიტ ალ ბანა. ეროვნებით პალესტინელი. დაიბადა პალესტინის ქალაქ ჯაფაში. თავდაპირველად დაუახლოვდა იასირ არაფატს და მის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. 1974 წელს გამოეყო იასირ არაფატის "პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას" და ცალკე დაჯგუფება შექმნა, რომელსაც მისივე სახელი ეწოდა. აბუ ნიდალის დაჯგუფება ასევე ცნობილი იყო, როგორც "რევოლუციური საბჭო - ფათჰი". ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე არაფატი და აბუ ნიდალი მოსისხლე მტრებად ითვლებოდნენ. აბუ ნიდალს პალესტინაში სიკვდილი ჰქონდა მისჯილი.

1998 წელს აბუ ნიდალმა თავისი ორგანიზაციის შტაბ-ბინა ბაღდადში გადაიტანა და თვითონაც იქ დაფუძნდა. თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ეს მხოლოდ სიმბოლური ჟესტი იყო, რადგან მას ერაყის ხელისუფლებასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ სპარსეთის ყურის ომის დროს გაუფუჭდა. ისრაელისა და დასავლეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, აბუ ნიდალი პირადად ხელმძღვანელობდა 20-ზე მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მათ შორის, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ისრაელში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს. გარდა ამისა, აბუ ნიდალმა მოახდინა რამდენიმე პალესტინელი პოლიტიკოსის ლიკვიდაცია. ხანგრძლივი დროის მანძილზე მასზე "ნადირობდნენ" ისრაელისა და დასავლეთის სპეცსამსახურები. ის თელ-ავივთან ყოველგვარი სამშვიდობო მოლაპარაკების წინააღმდეგი იყო და ამ სახელმწიფოს მოსპობას მოითხოვდა. აბუ ნიდალის ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა იარაღით ვაჭრობაში, საერთაშორისო ნარკობიზნესსა და ფერადი ლითონებით ვაჭრობაში. მისი ორგანიზაციის დანაყოფები ფუნქციონირებდნენ როგორც ახლო აღმოსავლეთის, ასევე ევროპის ქვეყნებში. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა ერაყის, სირიის, ირანისა და ლიბიის სპეცსამსახურებთან. აბუ ნიდალსა და მის ტერორისტებს ბრალდებათ 90–ზე მეტი ტერორისტული აქტის განხორციელება, რამაც, საერთო ჯამში, 300-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

## ასეულობით ადამიანი სატვირთო მანქანებში მოიგუდა

მას შემდეგ, რაც გასული წლის მაისში ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ექიმები ადამიანის უფლებებისათვის" ავღანეთის ქალაქ შებერგანის ახლოს აღმოჩინა სულ ახალი სასაფლაოები, სადაც ასეულობით ადამიანი ერთად იყო დაკრძალული, ამ ფაქტის ირგვლივ მითქმა-მოთქმა არ შეწყვეტილა.

ჟურნალ "ნიუსვიკის" მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ იქ თალიბანის ჯარისკაცები იყვნენ დამარხულნი. ისინი ყუნდუზიდან მაზარ-ი-შარიფში გადაყვანის დროს სატვირთო მანქანებში საშინელი სიცხისა და უჰაერობისაგან გაიგუდნენ. ბრალს მომხდარში უზბეკ საველე მეთაურს, დოსტუმს სდებენ, რადგან თალიბანის ეს მებრძოლები სწორედ მას ჰყავდა დატყვევებული.

"ექიმები ადამიანის უფლებებისათვის" სრულმასშტაბიანი გამოძიების ჩატარებას მოითხოვს. იგივე მოწოდებაა გამოთქმული გაერო-ს მიერ მომზადებულ მემორანდუმშიც.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიკერმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აუცილებლად შეეცდება, ავღანეთის მთავრობა ამ ფაქტის გამოძიებაზე დაითანხმოს, რასაც დამნაშავეთა დასჯა უნდა მოჰყვეს. თუმცა, სკეპტიკოსები ფიქრობენ, რომ დოსტუმის დასჯის მცდელობამ, შეიძლება, ავღანეთში ძლივს მიღწეული ბალანსი დაარღვიოს და ახალი შეტაკებების საბაბად იქცეს.

### სამართალი

## ლიკვიდირებული ყაჩაღი და დაჯილდოებული პოლიციელები

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი მძევალი მალხაზ აბრამიშვილი, რომელიც ყაჩაღმა გაათავისუფლა, გატაცების დღეს ასე იხსენებს:

**"ვაგზლის მოედნის ოქროს ბირჟაზე გახსნილი ხელყუმბარით და იარაღით შეიარაღებული ბიჭი შემოვარდა. მან ჯერ ორჯერ გაისროლა ჰაერში, მერე იარაღი მომადო კისერთან და იატაკზე დამაგდო, სხვებს კი უყვიროდა, ჩანთაში ოქროულობა ჩაყარეთო. როდესაც ჩანთა გაივსო, ნანული ჯიოშვილს უთხრა, ჩანთა წამოიღეო. ამაყენა, გვერდით გელა გლუჩიძე და ნანული ჯიოშვილი დამიყენა და იარაღმიბჯენილებს გვიბრძანა, გავყოლოდით. ხელში უკვე გახსნილი ხელყუმბარა ეჭირა. იქვე მდგომ N 104 სამარშუტო ტაქსში აგვიყვანა, მძღოლი ჩამოაგდო და მიბრძანა, საჭესთან დავმჯდარიყავი. გეზი დასავლეთისკენ ავიღეთ, უკან პოლიციის კოლონა მოგვყვებოდა, რომლებმაც მოძრაობის პროცესში საკონტაქტოდ მობილური ტელეფონი მოგვაწოდეს. გამტაცებელმა ცოტა ხანში გაიგო, რომ ნატახტარის საგუშაგო გადაკეტილი იყო, ამიტომ იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო და ხიდზე მოლაპარაკება დაეწყო. ტერორისტი ზუგდიდში ჩასვლის უსაფრთხო გარანტიას ითხოვდა. ცოტა ხანში ერთ-ერთი მძევალი ცუდად გახდა. ყაჩაღმა დამავალა, წყალი და სიგარეტი მიმეტანა და გამომიშვა, მაგრამ უკან აღარ დავბრუნებულვარ. მთელი ღამე პოლიციელის მანქანაში ვიჯექი."**

აბრამიშვილისგან განსხვავებით, გიორგი დეკანოზიშვილი ბოლო წუთამდე სამარშრუტო ტაქსში, ყაჩაღის ტყვეობაში იმყოფებოდა:

**"ოქროს ბირჟაზე დაცვის თანამშრომლად ვმუშაობ, თან ომში ვიბრძოდი. ვიფიქრე, იქნებ ხელყუმბარის წართმევა მოვახერხო-მეთქი და გამტაცებელს ვუთხარი, ესენი გაუშვი და მე წამიყვანე-მეთქი. თავიდან დამთანხმდა, მაგრამ მერე მითხრა, შენც წამოხვალო. ყუმბარა გახსნილი იყო, ამიტომ ჭიდაობას აზრი არ ჰქონდა. მიკროავტობუსში თოკი იპოვა, მე და გელა გლუჩიძე იატაკზე დაგვაწვინა და დაგვაბა, ნანული კი - სკამზე. ხმას არ გვაღებინებდა, მუდმივად იგინებოდა. ერთადერთი ის გვითხრა, დღეს ზუგდიდში 20 ათასი ლარი უსიკვდილოდ უნდა ჩავიტანო და მერე, თუ უნდათ, ჩავბარდებიო. ფიზიკურ შეურაცხყოფას თითქმის არ გვაყენებდა. ნანულის რამდენჯერმე მსუბუქად ჩაარტყა, ისიც იმიტომ, რომ პოლიციას დაენახა. დაახლოებით დილის ექვს საათზე ნერვებმა უღალატა, სულ კანკალებდა და მუქარა დაიწყო, ჯერ ერთს გაგიხვრეტთ ფეხებს, მერე - მეორეს და დაგხოცავთო. მოულოდნელად ტკაცუნის მსგავსი ხმა გავიგეთ, გვეგონა თვითონ აკეთებდა რამეს, მაგრამ, რომ შევხედეთ, უკვე თავიდან სისხლი მოსდიოდა. ისე მოკვდა, ერთი სიტყვა არ უთქვამს".**

16-საათიანი მძევლობის ისტორიას სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ოქროს ბირჟის თანამშრომლები გაოგნებულები ყვებიან. ისინი შემთხვევის ადგილიდან დასაკითხად პირდაპირ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციაში მიიყვანეს.

სისხლის სამართლის საქმე თბილისის პროკურატურაში აღიძრა. შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, რომლის წევრებმაც, მძევლების გარდა, ოქროს ბირჟის დაზარალებული თანამშრომლებიც დაკითხეს. სავარაუდოდ, გატაცებული ოქროულობის ღირებულება 100 ათასი ლარია.

ძალოვანთა გუშინდელმა ნამუშევარმა ქვეყნის პრეზიდენტი მოხიბლა. ედუარდ შევარდნაძე ოპერაციაში მონაწილე პოლიციელების დაჯილდოებას აპირებს.

## მკვლელობა მაფიოზური კლანების შეკვეთილი იყო

### აცხადებს იგნასიო ირიბარენი

პირველი გვერდიდან

განაპირობა კიდეც მისი ამგვარ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა. ამერიკელი კოლეგები, აგრეთვე საუბრობენ ნიკა ლომინაძის პიროვნულ თვისებებზე და აცხადებენ, რომ იგი უკონფლიქტო პიროვნება იყო. იგნასიო ირიბარენის თქმით, ეს შემზარავი მკვლელობაა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას.

**"მე არ გამაჩნია ქართველ სამართალდამცავებთან ურთიერთობის გამოცდილება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა და დახმარება აღგვითქვეს, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ საქმე გაიხსნება,"** – აცხადებს ირიბარენი.

ამერიკელების ოპტიმიზმს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოძიების პროცესში დასახმარებლად აშშ-ს გამოძიების ფედერალურ ბიუროს მიმართა. იგნასიო ირიბარენის ინფორმაციით, გფბ-ს გამომძიებელი, რომლის გვარიც "ეი-ი-ესის" გენერალურ დირექტორს არ ახსოვს, საკმაოდ გამოცდილი პროფესიონალია. თუმცა, ირიბარენი იმასაც აცხადებს, რომ გფბ-ს აგენტს ქართველი გამომძიებლებისგან არ მიუღია ის დახმარება, რაც მისთვის ადგილზე უნდა გაეწიათ. ქალაქის მთავარი პროკურატურის პროკურორი გიორგი ყაჯრიშვილი კი, რომელიც ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმეს იძიებს, აცხადებს, რომ გფბ-ს გამომძიებელი მაიკლ დორისი მზადაა, ქართველ სამართალდამცავებს გამოძიების პროცესში დახმარება გაუწიოს.

**"გამოძიებას ვაწარმოებთ ჩვენ, ხოლო გფბ-ს გამომძიებელი ტექნიკურ დახმარებას გაგვიწევს, მაგალითად, ექსპერტიზის ჩატარებაში და ა.შ."** – აცხადებს გიორგი ყაჯრიშვილი. ასე რომ, ქართველი სამართალდამცავები ამერიკელი გამომძიებლის ჩამოსვლაზე დიდ იმედებს არ ამყარებენ. სხვათა შორის, მაიკლ დორისი საქართველოში ადრეც იმყოფებოდა, ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით.

"ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობიდან ერთი კვირა გავიდა.


იგნასიო ირიბარენი მარიკა ამურველაშვილის ფოტო

გამოძიებას, ჯერჯერობით, ხელმოსაჭიდი არაფერი არ გააჩნია, მიმდინარეობს ვერსიების გადამოწმება. "ეი-ი-ესის" ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, ქართველი სამართალდამცავები მკვლელობის პირად მოტივებსაც არ გამორიცხავენ. რაც შეეხება გარდაცვლილის ოჯახს, "ეი-ი-ეს თელასი" აპირებს, მას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს.

## ადამიანის უფლებების დამცველი საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობს

ხათუნა ჯანგირაშვილი

ევროსასამართლოში საქართველოს წარმომადგენელი, 43 ქვეყნის ადამიანის უფლებების დამცველი მინდია უგრეხელიძე საკუთარ ქვეყანაში საკუთარ უფლებებს მართლმსაჯულების საშუალებით იცავს.

გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ევროსასამართლოს ქართველი მოსამართლის სარჩელი და მისი კერძო საკუთრებიდან – დაბა წყნეთში მდებარე პრივატიზებული აგარაკიდან ცხრა წლის წინ უნებართვოდ შესული ქირიების ოჯახის გამოსახლების გადაწყვეტილება გამოიტანა.

სასამართლომდე მოვლენები ასე ვითარდებოდა:

1993 წლის ზამთრის პერიოდში, ჩვეულებრივი სამუშაო დღის შემდეგ აგარაკზე დაბრუნებულ უგრეხელიძეების ოჯახის წევრებს საკუთარ სახლში მოულოდნელად ქირიების ოჯახი ხვდებათ მასპინძლად.

თვითნებურად სხვის სახლში შესული ქირიები, მესაკუთრეს გამოზამთრების უფლებას სთხოვენ. უხსნიან, რომ სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნიათ და გამოზამთრების შემდეგ უგრეხელიძეებს იქაურობის ნებაყოფლობით დატოვებას ჰპირდებიან. მინდია უგრეხელიძის ოჯახი დაუპატიჟებლად მისულ სტუმრებს მართლაც უთმობს სახლს. გამოზამთრების შემდეგ ქირიები სხვისი საკუთრების დატოვებას არც ფიქრობენ. გადის რამდენიმე ზამთარი და ძმები ქირიები სხვის პრივატიზებულ აგარაკზე პრეტენზიას გამოთქვამენ. უგრეხელიძეები მათ სახლის დაცლას სთხოვენ და სანაცვლოდ, ქირიების მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, კეთილი ნების თანახმად, ორი ბინით უზრუნველყოფას სთავაზობენ (კერძო საკუთრებაში გადაცემით) თბილისში ან, მათი სურვილის შემთხვევაში, საქართველოს სხვა რეგიონში.

არაერთხელ გამართული მრავალი მოლაპარაკება აგარაკის დაცლისა და სხვა ბინაში გადასვლის შესახებ უშედეგოდ სრულდება. გელა ქირია უგრეხელიძისგან კუთვნილი სახლის გათავისუფლებაში 30 ათას ამერიკულ დოლარს ითხოვს და უარს აცხადებს სხვისი საკუთრების გამოთავისუფლებაზე. ამასობაში კი ირღვევა კანონით გათვალისწინებული მესაკუთრის უფლება, რომლის მიხედვითაც მესაკუთრეს შეუძლია, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა. მესაკუთრემ – მინდია უგრეხელიძემ ქირიებს გარკვეული პერიოდით მისცა ბინით სარგებლობის უფლება. ოღონდ იმ პირობით, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი ნებაყოფლობით და უპირობოდ დატოვებდნენ სახლს. კანონის დარღვევით, ძმები ქირიები, საკუთარ მეუღლეებთან და შვილებთან ერთად, დღემდე უგრეხელიძეების აგარაკზე ცხოვრობენ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, წლების განმავლობაში ქირიების ოჯახი სისტემატურად აქირავებს მინდია უგრეხელიძის საკუთრებაში არსებულ ბინას დამსვენებლებზე და სეზონურად, ქირაში 2000 ლარს იღებს.

რამდენიმეწლიანმა გაურკვევლობამ და მომხდურების პრეტენზიულობამ ქვეყნის ყოფილი პირველი მოსამართლე მართლმსაჯულების კარზე მიიყვანა. სადავო ბინის საქმეზე გამართული სასამართლოც საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა. მოპასუხე მხარე, ბინის დაცლის სანაცვლოდ, კვლავ დაჟინებით მოითხოვდა 30 ათას ამერიკულ დოლარს. რამდენჯერმე გადადებული სასამართლო პროცესი გუშინ, ბოლოს და ბოლოს, უგრეხელიძეების სასარგებლოდ დასრულდა. მოსამართლე თემურ ტაბატაძემ ქირიების ოჯახის გამოსახლებისა და მათი ორი სამოთახიანი ბინით დაკმაყოფილების გადაწყვეტილება გამოიტანა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქირიები პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აპელაციას აპირებენ. არადა, ევროსაბჭოს წესდების მეორმოცე მუხლის მიხედვით, ევროსაბჭოს მოსამართლეები სარგებლობენ მათი კუთვნილი ტერიტორიებისა და საკუთრების დაცვის უფლებით. ასევე იმ იმუნიტეტით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.

# პოლიტიკური სამკუთხედი: შევარდნაძე - ჟვანია - სააკაშვილი

"აიღებ არაფერს, მიიღებ ვერაფერს..."

*ქართული პოლიტიკის სიბრძნე*

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

ედუარდ შევარდნაძემ ჯერ კიდევ 1998 წელს განაცხადა რბილი ღიმილით: პრეზიდენტი ან მე ვიქნები, ან ის, ვისაც მე შევარჩევო. ეს ფრაზა, რომელიც 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით წარმოითქვა, როგორც ჩანს, ძალაში დარჩება 2005 წლისთვისაც. თუ ედუარდ შევარდნაძე კონსტიტუციას დაიცავს, თავის არაერთგზის დაპირებასაც შეასრულებს და პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, ცხადია, იგი შეეცდება, რომ ამ პოსტზე მისთვის სასურველი პირი იხილოს.

თავის მხრივ, პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძოლებენ ზურაბ ჟვანიაც და მიხეილ სააკაშვილიც. ისინი გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერები არიან და შეეცდებიან, საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ იმ გზაზე დააყენონ, რომელიც, მათი ხედვით, ქვეყნის უკეთესი მომავლისკენ მიდის. ეს ხედვა კი, ყველამ კარგად ვიცით, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.

■ ■ ■

ქართული დემოკრატიის კლასიკური პოლიტიკური მიმდინარეობები ლიდერებშია ჩაწრეტილი. ედუარდ შევარდნაძე მოქალაქეთა კავშირის ფაქტობრივი ლიდერია, მაგრამ რას წარმოადგენს დღეს ეს პარტია, საზოგადოებისთვის უცნობია. მიხეილ სააკაშვილი ნაციონალურ მოძრაობას უდგას სათავეში და ეს მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნას მხოლოდ საშემოდგომოდ გეგმავს. ზურაბ ჟვანია გაერთიანებული დემოკრატების პარტიის თავმჯდომარეა, მაგრამ ეს პარტიაც, ჯერჯერობით, მხოლოდ პოტენციაში არსებობს. იმის მიუხედავად, რომ ქართული დემოკრატიის ლიდერებს პარტიული საყრდენები არ გააჩნიათ, თავად ლიდერები ძალიან მკაფიოდ გამოხატავენ პოლიტიკური მსოფლხედვის სხვადასხვა მიმდინარეობას. ჩვენც, შესაბამისად, ვისაუბრებთ ლიდერებზე და მათ პოლიტიკურ პორტრეტებს დავაკვირდებით.

■ ■ ■

ედუარდ შევარნდაძე ქართველი კონსერვატორების ბურჯია. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტი გამოხატავს იმ სოციალური ჯგუფის ინტერესებს, რომლის პირად კეთილდღეობასაც განადგურებით ემუქრება საზოგადოების განვითარების და პროგრესის ობიექტური ტენდენციები. ამ ჯგუფისთვის (და მისი ლიდერისთვის) იდეალურია არსებული სახელისუფლო სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, წარსულის ტრადიციას ეფუძნება. ამ ჯგუფს (და მის ლიდერს) სოციალურ უბედურებათა წყაროდ მიაჩნია ცვლილებები, გარდაქმნები, ტრადიციების და წარსულის ღირებულებების ღალატი. ეს ჯგუფი (და მისი ლიდერი) მთავარ საზოგადოებრივ ამოცანად ისახავს ცვლილებებისთვის წინააღმდეგობის გაწევას; საზოგადოების კონსოლიდაციას ძველი, ტრადიციული ღირებულებების ირგვლივ; არსებული სისტემის და ტრადიციების დაცვას სხვადასხვა ჯურის "ცბიერი" და "უპასუხისმგებლო" პირებისგან.

ყველა პოსტულატი, რომელიც წინამორბედ აბზაცშია ჩამოთვლილი, ნებისმიერ პოლიტოლოგიურ სახელმძღვანელოში შეგვიძლია ამოვიკითხოთ. პრაქტიკულად კი - ქართულ სინამდვილეში – ამ თეორიულ პოსტულატებს ედუარდ შევარდნაძე ანხორციელებს: იგი ცდილობს, შეინარჩუნოს არსებული სახელისუფლო სისტემა, სადაც ძალაუფლება ერთი პიროვნების ხელშია თავმოყრილი (გავიხსენოთ პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ აუცილებლად გამოიყენებს ვეტოს უფლებას, თუკი პარლამენტი გადაუხვევს საკონსტიტუციო ცვლილებების პრეზიდენტისეულ ვარიანტს). დასავლეთის დიდი სურვილისა და დახმარების მიუხედავად, პრაქტიკულად შეჩერებულია რეფორმები ყველა სფეროში ("გარდაქმნის ტემპს განსაზღვრავს გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებები და არა პოლიტიკური ნება"). შესაბამისად, ხელისუფლების მაღალი პოსტებიდან განდევნილი და გადამდგარია ყველა პოლიტიკური ფიგურა, რომელიც, თუნდაც, მხოლოდ სიტყვით (დეკლარირებულად) უჭერდა მხარს ძირეულ გარდაქმნებს. სამაგიეროდ, სახელმწიფოს ჩუმი თანხმობით ძლიერდებიან ის პირები, რომლებიც გაუგონარი და მიუღებელი მეთოდებით იცავენ ქართულ ტრადიციებს და, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლობას. ისინი მართლაც ახერხებენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის კონსოლიდაციას და დარაზმვას საზოგადოების მეორე ნაწილის წინააღმდეგ.

ის პროცესები, რომლებიც საქართველოში კონსერვატიული ფრთის მხარდაჭერით მიმდინარეობს, ისევე მახინჯად და კარიკატურულად ასახავს დემოკრატიული კონსერვატივიზმის არსს, როგორც, ვთქვათ, კვაჭი კვაჭანტირაძის საქციელის ფილოსოფია – დასავლურ რაციონალიზმს. ასეთი კონსერვატორების ლიდერია ედუარდ შევარდნაძე, რომელიც საზოგადოებას სიდინჯისკენ მოუწოდებს და, აჩქარების შემთხვევაში, კისრის მოტეხით აშინებს. სამაგიეროდ, პრეზიდენტის პოლიტიკური იმიჯის დადებითი მხარეა მიზანსწრაფულობა, შეკრულობა, საიმედოობა და ყველა ბრძოლაში გამარჯვებულის ქარიზმა.

■ ■ ■

ქართველი რადიკალების ლიდერი მიხეილ სააკაშვილია. როგორც ჭეშმარიტი რადიკალი, სააკაშვილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს დეგრადაცია და სოციალური უბედურებები გამოწვეულია გარდაქმნების საგანგებო ბლოკირებით და ხელისუფლებაში შესაბამისი პოლიტიკური ნების არარსებობით. სახელმწიფოს იდეალს სააკაშვილი ხედავს არა წარსულსა და აწმყოში, არამედ – მომავალში. ახალი სახელმწიფო სრულიად ახალ სახელისუფლო სისტემას და ახალ მსოფლხედვას უნდა დაეფუძნოს. რადიკალებისთვის (და მათი ლიდერისთვის) დამახასიათებელია ზვავის ენერგია, ოპტიმიზმი ("ყველა ქვეყანას ეშველა და ჩვენც გვეშველება!"), მოუთმენლობა ("შევარდნაძეს შემოდგომაზე გავისტუმრებთ!") და არსებული სისტემის აუტანლობა ("საქართველო და თბილისი შევარდნაძის გარეშე!"). რადიკალებისთვის (და მათი ლიდერისთვის) დამახასიათებელია კორპორაციულობა ("ჩვენ გავაერთიანეთ ოთხი პოლიტიკური მოძრაობა, მათგან ეროვნულ ძალთა გაერთიანება, თავის მხრივ, ექვს პარტიას აერთიანებს"). რადიკალებისთვის (და მათი ლიდერისთვის) დამახასიათებელია, აგრეთვე, საკუთარი თავისა და სხვების მსხვერპლად შეწირვის მზაობა მომავლის სანუკვარი იდეალების განსახორციელებლად. რადიკალების ლიდერი, როგორც წესი, იდეალისტურად არის განწყობილი, პრაგმატიზმისგან შორს დგას, მწვავედ და მკაფიოდ საუბრობს, საზოგადოებას გამზადებულ ლოზუნგებს სთავაზობს და პირდაპირი, გულწრფელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. კონსერვატორ და ლიბერალ ლიდერებთან შედარებით, ლიდერი-რადიკალი ერთობ გულუბრყვილოდ გამოიყურება – მისი ხიბლიც ეს არის.

თავისი საჯარო პოლიტიკური მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტის ბანაკში მკვიდრობდა და აცხადებდა, რომ შევარდნაძეს ალტერნატივა არ გააჩნია, იგი ჯერ კიდევ არ იყო რადიკალი და რეფორმების გასატარებლად იბრძოდა. დღეს მას მიაჩნია, რომ არსებული სისტემა არ იძლევა რეფორმირების საშუალებას და შევარდნაძე არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას არ დაუშვებს. ამ განცხადებებიდან მხოლოდ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ქვეყნის გადასარჩენად აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა ნებისმიერი (მშვიდობიანი ან ნაკლებად მშვიდობიანი) გზით, თუნდაც, საზოგადოების მხრიდან წნეხის გამოყენებით, ქუჩის აქციებით, რევოლუციით.

კონსერვატორების ბანაკი რადიკალებს და მათ ლიდერს უპასუხისმგებლო ადამიანებად და, ლამის, ქვეყნის მტრებად აცხადებს. რადიკალები და პირადად მიხეილ სააკაშვილი კი დესტაბილიზაციის წყაროდ მიიჩნევენ ხელისუფლების უუნარობას და არჩევნების შედეგების თვითნებურ გაუქმებას. ეს ორი პოლიტიკური ძალა – კონსერვატორები და რადიკალები – ტრადიციულად, ერთმანეთის პირისპირ დგანან და ერთმანეთის პოლიტიკურ განადგურებაზე ფიქრობენ. მწვავე დაპირისპირების ვითარებაში, რადიკალები ხელისუფლების კრიმინალიზაციასა და მოსალოდნელ პოლიტიკურ მკვლელობებზე საუბრობენ; კონსერვატორები კი აცხადებენ, რომ რადიკალები სახალხო ამბოხს და ხელისუფლების ჩამოგდებას გეგმავენ.

■ ■ ■

ქართველი ლიბერალების აღიარებული ლიდერი ზურაბ ჟვანიაა. კონსერვატორებისა და რადიკალების დაპირისპირებაში ლიბერალები, როგორც წესი, არ ერევიან. ისინი ყოველთვის განზე დგანან და ერთმნიშვნელოვნად არც ერთ ბანაკს არ ემხრობიან, თუმცა, ყოველთვის შეუძლიათ, შეასრულონ შუამავლის როლი. თუ კონსერვატორებმა და რადიკალებმა ყოველთვის მტკიცედ იციან, რა სურთ, ლიბერალების პოზიცია, როგორც წესი, გაორებულია: პოლიტიკასა და ჯანსაღ აზრს შორის; პოლიტიკასა და ჰუმანიზმს შორის; პოლიტიკასა და ეთიკას შორის. ამიტომ, ლიბერალებს (და მათ ლიდერს) ეჭვით და ქედმაღლურად უცქერიან როგორც კონსერვატორები, ისე რადიკალები. ლიბერალებისთვის (და მათი ლიდერისთვის) დამახასიათებელია სხვისი აზრის პატივისცემა, პანორამული (და არა წერტილოვანი) საჯარო გამოსვლები, სერიოზული კომპრომისები. ლიბერალებს (და მათ ლიდერს) სრულიად შეუძლებლად მიაჩნიათ, გლობალურ გეგმებს შესწირონ არა მხოლოდ ადამიანების სიცოცხლე, არამედ – საზოგადოების დიდი ჯგუფის ინტერესებიც.

ყოველივე ზემოთ თქმული უშუალოდ ვრცელდება ზურაბ ჟვანიაზე და მის ამჟამინდელ ურთიერთობაზე როგორც ედუარდ შევარდნაძესთან, ისე მიხეილ სააკაშვილთან. ჟვანია ტიპური რეფორმატორია და დარწმუნებულია, რომ არსებული სისტემის გარდაქმნით შესაძლებელია მისი გაკეთილშობილება. ლიბერალი ლიდერი, ერთი მხრივ, რადიკალ სააკაშვილთან ერთად გმობს ხელისუფლების კრიმინალიზაციას და მასთან ერთადვე აცხადებს პროტესტს არჩევნების შედეგების გაუქმების გამო. მეორე მხრივ, ჟვანია მხარს უჭერს შევარდნაძეს, როდესაც ამბობს, რომ შეუძლებელია საკონსტიტუციო ვადების დარღვევა, რევოლუცია და სამოქალაქო დაპირისპირება ხელისუფლების დასამხობად.

ჟვანიას გაორებული პოზიცია (ნაწილობრივ, სააკაშვილის და ნაწილობრივ, შევარდნაძის მხარდაჭერა) როგორც კონსერვატორების, ისე რადიკალების ბანაკს მის მიმართ ეჭვით ავსებს. პოლიტიკის კულუარებში ვრცელდება ხმები, ერთი მხრივ, ჟვანიას ორპირობის, მეორე მხრივ კი, მისივე სიმხდალის შესახებ. სინამდვილეში, ზურაბ ჟვანია პოლიტიკურ ოპონენტებს უპირისპირდება არა შეუვალი პოზიციით, არა ძალის გამოყენებით, არა პირდაპირი იერიშით, არამედ – ცბიერებით და გამომგონებლობით.



NO COMMENT REUTERS

■ ■ ■

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც დემოკრატია ქვეყნის მართვისა და განვითარების ნორმალურ პირობად მიაჩნია, მომავალ წელს (თუ მანამდე არა) მოუხდება, არჩევანი გააკეთოს ზემოთ ჩამოთვლილ სამ პოლიტიკურ ჯგუფს შორის: მან უნდა აირჩიოს ან ედუარდ შევარდნაძის პარტია, ან მიხეილ სააკაშვილის პარტია, ან ზურაბ ჟვანიას პარტია. შესაბამისად, მოქალაქე მხარს დაუჭერს სისტემის შენარჩუნებას, სისტემის რადიკალურ განახლებას ან სისტემის გარდაქმნას.

მაგრამ იმისათვის, რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ, საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკოსებისგან, სულ მცირე, ორი სახის ინფორმაცია გვჭირდება: პირველი – როგორი იქნება ის ქვეყანა, რომლის აშენებასაც ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფი აპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში; და მეორე – რა გვაქვს დღეს. მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ, ავირჩიოთ, რომელი გზა გვაძლევს ხელს საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე მისასვლელად: იმის დატოვება, რაც გვაქვს, რადიკალური განახლება თუ თანამიმდევრული გარდაქმნა.

სულ მარტივი მაგალითი ადასტურებს, რომ ამ ინფორმაციის გარეშე ნებისმიერი არჩევანი არასწორი აღმოჩნდება: დავუშვათ, მაქვს ოროთახიანი ბინა და მჭირდება სამოთახიანი. მიზნის მისაღწევად ჯერ ის უნდა გავარკვიო, კონკრეტულად როგორი სამოთახიანი ბინა მჭირდება (რა ღირს ის ბინა, რომლის შეძენაც მსურს), მერე უნდა შევაფასო, რა ღირებულებას წარმოადგენს ის ბინა, რომელიც უკვე მაქვს და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებ, გამოვთვალო, რა მაძლევს ხელს – ძველის გაყიდვა და ახლის შეძენა, ოროთახიანის სამოთახიანად გადაკეთება, თუ საერთოდ უარის თქმა განახლებაზე და ისევ ძველი ბინით დაკმაყოფილება.

ეს უხეში და პრიმიტიული მაგალითი კარგად წარმოაჩენს იმ უმთავრეს პრობლემას, რომლის წინაშეც დღეს დგას ჩვენი საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი. არც შევარდნაძეს, არც სააკაშვილს და არც ჟვანიას საზოგადოებისთვის არ აუხსნიათ, კონკრეტულად როგორი უნდა იყოს ქვეყანა, რომლის აშენებასაც ჩვენ მათთან ერთად (და მათი ლიდერობით) ვაპირებთ. არც ერთ მათგანს ძირფესვიანად და კომპლექსურად არ აღუწერია დღევანდელი სისტემის მდგომარეობა. სამივე გვთავაზობს მხოლოდ გზას: ერთი – იმით დაკმაყოფილებას, რაც გვაქვს (უარესი რომ არ დაგვემართოს), მეორე – ყველაფრის რადიკალურად შეცვლას, მესამე – თანამიმდევრულ გარდაქმნებს. ჩვენ კი წარმოდგენა არ გვაქვს, რა გზა ავირჩიოთ, რომელი გზით ვიაროთ, რადგან არ ვიცით, საიდან საით მივდივართ და არც ის ვიცით - რა არის მიზანი, ან რომელი გზა უფრო სწრაფად და უდანაკარგოდ მიგვიყვანს მიზნამდე.

■ ■ ■

არსებობს არგუმენტი, რომ, სინამდვილეში, მიზანი ცნობილია: საქართველოს ინტეგრაცია დასავლურ პოლიტიკურ სივრცეში, ქვეყნის გაწევრიანება ნატოსა და ევროკავშირში.

ვინ გვთავაზობს ამ მიზნისკენ სვლას: ედუარდ შევარდნაძე? მიხეილ სააკაშვილი? ზურაბ ჟვანია? ცხადია - სამივე. ამიტომ, არჩევანის გასაკეთებლად ეს არგუმენტი არ გამოგვადგება.

მაგრამ, ვინ გაგვცემს პასუხს, როგორია დღეს და როგორი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკური სისტემა, განათლების სისტემა, ჯარი, პოლიცია, სოციალური დაცვა და ყველა სხვა სფერო, ვთქვათ, 2010 წელს? ვინ დაგვისაბუთებს, შესაძლებელია თუ არა და, კონკრეტულად, რა ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული, ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდაქმნა კორუფციის უჯრედიდან თანამედროვე ევროპულ უნივერსიტეტად? ვინ წარუდგენს საზოგადოებას მკაფიო პროგრამას, როგორ და როდის უნდა დასაქმდნენ დღეს სამუშაოს გარეშე დარჩენილი ადამიანები?

თუ საქართველოში უახლოესი ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდება პოლიტიკური ძალა, რომელიც შეასრულებს სამ უმთავრეს პირობას: კომპლექსურად აღწერს არსებული სისტემის მდგომარეობას; დეტალურად აღწერს ქვეყნის და საზოგადოების მიზნებს უახლოესი წლების განმავლობაში და საზოგადოებას მხოლოდ ამის შემდეგ შესთავაზებს მიზნისკენ სავალ გზას, მოსახლეობას ექნება საფუძველი, რომ სწორედ ამ ძალას ენდოს; ოღონდ, კიდევ საკითხავია, როგორი აღმოჩნდება საბოლოო შედეგი.

იმ შემთხვევაში კი, თუ პარტიები და ლიდერები საზოგადოებას შესთავაზებენ მხოლოდ გზას – ერთი ბნელი წერტილიდან მეორე ბნელ წერტილამდე – შედეგი სრულიად ერთმნიშვნელოვანია: მოიგებს ის, ვინც ამომრჩეველს შესთავაზებს ადგილზე დარჩენას, რადგან მას ექნება უტყუარი არგუმენტი - კისრის მოტეხის საფრთხე. ამიტომაც არის, რომ ედუარდ შევარდნაძე – კონსერვატორების ლიდერი, გარდაქმნების შემაფერხებელი და, შესაბამისად, სტაბილურობის გარანტი, სამომავლოდ თავისი ინტერესების გატარებისთვის მეტ პერსპექტივას ინარჩუნებს, ვიდრე ჟვანია ან სააკაშვილი.

■ ■ ■

"არარაისგან არ იქმნების არარაიცა..." – ეს მდგომარეობა, შესაძლოა, საქართველოში კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. მაგრამ "არაფერი" სტატიკური მდგომარეობა არ არის, როდესაც საქმე ქვეყნის ბედს ეხება. ეს არის დაღმართი, რომელშიც სულ უფრო და უფრო ღრმად ჩავდივართ. პარლამენტი უუნაროა, მთავრობა დავრდომილია, სასამართლო გადაწყვეტილებები მუდმივად საკამათოა. სტრატეგიული ობიექტები გაჩუქებულია, ტერიტორიები დაკარგულია, საზოგადოება ინერტულია. "არაფერი", რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ნიშნავს გაცილებით უიმედო "არაფერს", რომელშიც ხვალ და ზეგ აღმოვჩნდებით.

ეს არ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი დემოკრატი ლიდერები გაცილებით ნაკლებს იფუსფუსებენ ამაოებათა ამაოებაში და გაცილებით მეტს იმეცადინებენ საპრეზიდენტო საგნებში.

ჩვენი სურვილიც ეს არის.

---

# მაინც რა იყო ეს "გკჩპ"?!

რუსუდან ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

ერთი ციტატა მე-10 კლასის რუსეთის უახლესი ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოდან: **"აგვისტოს შემდეგ რუსეთში დამყარდა ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებად იქცა... "გკჩპ" გაუბედავად მოქმედებდა, მან ვერ შეძლო სახელმწიფო აპარატის მიმხრობა".**

მათ, ვინც სახელმძღვანელოებში არ იხედება, კარგად ახსოვთ თერთმეტი წლის წინათ მოსკოვში ტანკების კოლონები, სროლა ოსტანკინოსთან და ბარიკადები ახალ არბატზე. ახსოვთ, მაგრამ მეცხრე-მეათე კლასის მოსწავლეთა უდიდესმა ნაწილმა არ იცის, რა და რატომ ხდებოდა მაშინ მოსკოვში. სამაგიეროდ მათ ხსოვნას "ამომწურავი" ინფორმაციით ავსებენ რუსეთის თანამედროვე ისტორიის სახელმძღვანელოები, რომელთა მიხედვითაც რუსეთის დღევანდელი სიძნელეები პუტჩისტების დამარცხების შედეგი ყოფილა. მთელი უბედურება ისაა, რომ მშობლებიც ბევრს ვერაფერს მატებენ შვილების ისტორიულ შემეცნებას იმ უბრალო მიზეზით, რომ მათ თაობაში დღითიდღე ძლიერდება საბჭოთა სამოთხის მონატრება - როცა ხელფასებს იღებდნენ და სტაბილურობას გრძნობდნენ, როცა ბავშვები ჩეჩნეთში სასაკლაოზე არ მიჰყავდათ, როცა პენსიონერები ქუჩებში ზეზეურად არ იხოცებოდნენ და ა.შ.

რუსეთის მთავარი სოციოლოგიური ცენტრის გამოკითხვის შედეგებით, რუსეთის მოსახლეობის 9 პროცენტი 1991 წლის 19 აგვისტოს მოვლენებს დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებად მიიჩნევს, 25 პროცენტი - ქვეყნის დამანგრეველ ტრაგიკულ მოვლენად, 46 პროცენტი დარწმუნებულია, რომ პუტჩი რუსეთში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მოხდა.

**"მოსახლეობის საერთო განწყობით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა ნოსტალგია საბჭოთა ეპოქაზე, თანაც ხალხმა ბოლომდე ვერც გაიგო, მაინც რა იყო ეს გკჩპ,"** - აცხადებს რუსეთის მთავარი სოციოლოგიური ცენტრის დირექტორი იური ლევადა.

რუსი კომუნისტების ლიდერი გენადი ზიუგანოვი 1991 წლის აგვისტოს მოვლენებს გორბაჩოვისა და იაკოვლევის უდიდეს პროვოკაციად მიიჩნევს, რადგანაც **"დემოკრატებმა მაშინ საკუთარი ხალხი გაყიდეს"**.

მეორე დღეა, რუსეთის ლიბერალ-დემოკრატები, პარლამენტარ იუშენკოვის მეთაურობით, რუსეთის თეთრი სახლის წინ მდებარე კუზიან ხიდზე იკრიბებიან და გკჩპ-ს დამარცხების თარიღს აღნიშნავენ. იუშენკოვს მოსკოველი პენსიონერებისა და თეთრი სახლის ყოფილი დამცველების მცირერიცხოვანი მანიფესტაცია დაჰყვება კუდში. 20 აგვისტოს საღამოს კი, რუსეთის დემოკრატებს ახალ არბატზე მეორე მანიფესტაცია დაუპირისპირდა - რევანშისტულად განწყობილმა რადიკალებმა და მემარცხენეებმა სამგლოვიარო მსვლელობა მოაწყვეს და გკჩპ-ს დამარცხება ერთხელაც გამოიტირეს. სამაგიეროდ, მოსკოვის მერიაში იური ლუჟკოვმა დიდი ბანკეტი გამართა. მოსკოვის ხელისუფლებას ეზეიმება, რადგანაც დემოკრატიული გარდაქმნები მრავალმილიონიან რუსეთში მხოლოდ მოსკოვს შეეტყო, გარეგნულად, რა თქმა უნდა.

რუსეთის ხელისუფლებას კი ამ დღეს არ ეზეიმებოდა - წინა დღეს ჩეჩნეთში მომხდარმა ავიაკატასტროფამ ასზე მეტი რუსი სამხედრო მოსამსახურე შეიწირა.

---

# შევარდნაძის მთავრობაში ისევ რამდენიმე ნაღმია ჩადებული...

პირველი გვერდიდან

სერიოზული მხარდაჭერა პარლამენტში. არსებული მიმართულებით მუშაობას იგი ისევ აგრძელებს.

ჯორბენაძე სჭირდება შევარდნაძეს არასამთავრობოებთან საკონტაქტოდაც. მართალია, არავინ იცის, ამ კონტაქტის საბოლოო მიზანი მთავრობასა და მათ შორის სიტუაციის დათბობაა თუ "არასამთავრობოთა" შორის განხეთქილების ჩამოგდება, რაზეც კანცელარიის (და არა მხოლოდ) კულუარებში საუბრობენ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პროცესს ავთანდილ ჯორბენაძე უძღვება.

სახელმწიფო მინისტრს "ჩაბარდა" ასევე სტრატეგიული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაც. ამ მუშაობის გარკვეული შედეგები, მაგალითად, "იტერასთან" დაკავშირებული გადაწყვეტილებების სახით, უკვე სახეზეა.

თუმცა, მიუხედავად ასეთი, საკმაოდ ხელშესახები უფლებებისა, დღევანდელმა სახელმწიფო მინისტრმა ვერ მოახერხა, სტრუქტურულად გაეფორმებინა საკუთარი და თავისი მოადგილეების "კანონის ფარგლებში გაზრდილი" ძალაუფლება.

ამ შემთხვევაში ჯორბენაძეს წინ ისევ და ისევ პრეზიდენტი გადაეღობა, რომელიც სრულ კარტ-ბლანშს, როგორც წესი, არავის აძლევს.

კანცელარიის იმ რეფორმას, რომელიც სახელმწიფო მინისტრმა ამ გაზაფხულზე წამოიწყო, ჯერჯერობით, არ ამშვენებს საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერა.

ეს არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი ჯორბენაძეს უკვე იშორებს, უბრალოდ, ედუარდ შევარდნაძეს, ძლიერი ჯორბენაძის გვერდით, რომელსაც კულუარული აქტივობის იშვიათი ნიჭი და პოლიტიკური თამაშების საინტერესო გაგება აღმოაჩნდა, სჭირდება და ჰყავს ადამიანები, რომლებიც მისეულ "ბალანსს" ისევ ქმნიან.

ჯორბენაძის სახელმწიფო მინისტრად მოსვლის დღიდან იყო საუბარი იმაზე, რომ "ძალოვნების" საჯაიასეული კადრები მას დასაყრდენად არ გამოადგებოდა.

კულუარული კარტები საკმაოდ მალე გაიხსნა - მაშინ, როცა ჯორბენაძემ თავი სიტუაციის ბატონ-პატრონად წარმოიდგინა და ძალოვნებზე თავდასხმა სცადა. შეგახსენებთ, რომ თავდასხმის ძირითადი მიზეზი ბიუჯეტის შეუსრულებლობაში ძალოვნების ბრალის წამოწევა გახლდათ.

ამ დღეს შეახსენეს მას, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, ისე, განსაკუთრებით, ვალერი ხაბურძანიამ, რომ სახელმწიფო მინისტრის ძალაუფლება იქ მთავრდება, სადაც ძალოვანთა ძალაუფლება იწყება.

სავარაუდოდ, ამ მხრივ არც უშიშროების საბჭოს ახალი თავმჯდომარეა გამონაკლისი, რომელიც, საჯაიას დაბალანსების ნიჭს, შესაძლოა, ვერ ამჟღავნებს, თუმცა, დღევანდელი ძალოვნების მსგავსად, უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირ საყრდენად მოიაზრება. ამასთან, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, იგი მკვეთრად გამოხატული პროამერიკული კადრია და სხვა თამაშს, სხვა სახელმწიფო მოხელეებისგან განსხვავებით, სავარაუდოდ, მოერიდება.

დაპირისპირება უფრო მკვეთრ ფაზაში გადავიდა გასულ კვირას, როცა კობა ნარჩემაშვილმა, საგაზეთო თავდასხმის მოგერიებისას, ხელი კანცელარიისკენ გაიშვირა. გასულ კვირას მან ახსენა საიდუმლო შეკრებები ფიქრის გორაზე, რაც, სავარაუდოდ, კახა თარგამაძის, მეფარიშვილის, პატარკაციშვილის და სხვების სახელს უკავშირდება.

ცოტათი ადრე კი მინისტრმა ხმამაღლა განაცხადა, რომ: **"ყველაფერს გააკეთებს, რათა ედუარდ შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადა დაასრულებინოს".**

მიუხედავად იმისა, თუ კონკრეტულად რა ჰქონდა მხედველობაში ამ დროს შს მინისტრს, ამ განცხადებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დაპირისპირება მთავრობაში არსებობს და ამ დაპირისპირებას, გარკვეულწილად, პრეზიდენტიც ახალისებს.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია ისიც, რომ, ჯორბენაძის მსგავსად, საკმაოდ სერიოზული ძალაუფლება მიეცათ და მნიშვნელოვანი მისია დაეკისრათ ნარჩემაშვილს და ხაბურძანიას.

ქონების მართვისა და ენერგეტიკის მინისტრებისგან განსხვავებით, რომლებიც ამ ბოლო დროს ჯორბენაძის თამაშში ჩაერთვნენ, ცალკე თემაა მთავრობაში ფინანსთა ახალგაზრდა მინისტრის არსებობა, რომელიც, თუნდაც მამის ფაქტორიდან გამომდინარე, პრეზიდენტზე უშუალოდ გასვლას ახერხებს. სახელმწიფო მინისტრმა გოგიაშვილზე თავდასხმაც, ისევე, როგორც ძალოვნებზე, ამ ზაფხულში რამდენჯერმე სცადა, თუმცა, აქაც შუაში თავად პრეზიდენტი ჩადგა.

გოგიაშვილს, საქართველოს პრეზიდენტის გარდა, საქართველოს ხელისუფლებაში მხარდამჭერად ანტიკორუფციული საბჭოც ეგულება, რომელმაც, მართალია, ბოლო პერიოდში ჯორბენაძეს რამდენიმე რევერანსი გაუკეთა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში, ყოფილ თავმჯდომარეს, ალბათ, დასაყრდენად მაინც გამოადგება. ასეთი გამწვავება კი, საბიუჯეტო წლის მიწურულს, უდავოდ მოსალოდნელია.

ცალკე შემთხვევაა კონტროლის პალატისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, რომლებიც თავის დროზე ასევე საჯაიას კადრებად ითვლებოდნენ და რომლებიც დღეს საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დასაყრდენს წარმოადგენენ. ისინი დღეს პოლიტიკურ თამაშებში შემჩნეულნი თუ არიან, არა მთავრობის დღევანდელი წევრების წინააღმდეგ.

საბოლოო ჯამში, ამ ზაფხულის მიწურულს ცხადი ხდება, რომ შევარდნაძეს დღეს ისევ თავისებურად "დაბალანსებული" მთავრობა ჰყავს, მაგრამ - მთავრობა, რომელშიც დაპირისპირების სერიოზული ნაღმებია ჩადებული.

www.24hours.ge 24 B

# იუჰანსონის სტუმრობამ თბილისს ახალი ნაგებობა შემატა

ნანა ბასილაშვილი

**დღეიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი ფეშენებელური "სახლი" აქვს. ამ სიკეთესთან ერთად ქალაქმაც სარგებელი ნახა და თბილისს კიდევ ერთი ლამაზი შენობა შეემატა.**

ახალი ნაგებობა "ლოკომოტივის" სტადიონის ცენტრალურ შესასვლელში აშენდა. რადგანაც სტადიონთან მისასვლელი გზა არ უნდა გაუქმებულიყო, შენობის პროექტი განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა. იქნებ, სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ არქიტექტორებს 136 ვარიანტის დამუშავება მოუხდათ.

"შუაში დარჩენილი შესასვლელითა და ტრიუმფალური თაღით, (ოღონდ, არა პირდაპირი მნიშვნელობით) შენობა ორიგინალურად გამოიყურება. ამობრუნებული თაღი ჩემთვის დინამიკის, მოძრაობის სიმბოლოა. რაც შეეხება ინტერიერს, შიგნით ყველაფერი ზედმიწევნით ფუნქციონალურად არის დანაწილებული. თითოეული სანტიმეტრი შენობის მომავალმა მფლობელებმა თავად გაზომეს, იქ თავიდან ბოლომდე მათი ინტერესებია გათვალისწინებული. ჩემთვის მაქსიმალური ამოცანა იყო გარეთა ფასადზე, ანუ ქალაქზე მემუშავა. რა გამოვიდა - ეს საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, მაგრამ ასე თუ ისე, ამოცანა შესრულდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სპორტულ საკითხში როგორ მსჯელობს არ ვიცი, მაგრამ ეს გრანტი მათ სამაგალითოდ გამოიყენეს, თანხა ზედმიწევნით გამოზომილად დაიხარჯა. ყველაფერი სახეზეა, ჩვენი ჩანაფიქრი საბოლოოდ ტრიუმფალური თაღითა და



"ქართული ფეხბურთის სახლი"

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სპორტული ნაგებობით განხორციელდა. ვეცადე, ყველაფერი ერთი სიტყვით და მარტივი ხერხებით გადამეწყვიტა. მინდა ავღნიშნო, რომ მხოლოდ მე არ მიმუშავია. ჩემთან ერთად პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი, აგრეთვე მის ავტორს, მამუკა ჩხეიძეს მიუძღვის. ჩვენს დიდ კოლექტივში შედის ახალგაზრდა ნიჭიერი ბიჭების ჯგუფიც, რომლებთან ერთადაც ბოლო ხუთი წელია ვმუშაობ. ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემი პროფესიის ადამიანისათვის ეს ფაქტი ყველაზე დიდი ბადნიერებაა, მითუმეტეს, თუკი დადებით შეფასებასაც დავიმსახურებთ," - გამესაუბრა არქიტექტორი გოგი კვიწინაშვილი.

ბატონ გოგისთან ერთად ახალგაზრდა არქიტექტორებიც სიამაყითა და სიხარულით შესცქეროდნენ თავიანთ შემოქმედებას. დათო მახარობლიძე, დათო ვეშაპიძე, ნუკრი კოპაძე, დალი ბენაშვილი, კახა მინდიაშვილი და მათი უფროსი კოლეგა ბექა კალანდაძე, ხელმძღვანელთან ერთად, უკვე ახალ შენობაზე მუშაობენ – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა შენდება. ამ ასევე მნიშვნელოვან პროექტს ახლა ფიფა აფინანსებს.

მშენებლობა საკმაოდ სწრაფი ტემპებითა და სპეციალისტების შეფასებით, ხარისხიანადაც, დაახლოებით ერთ წელიწადში დასრულდა. პირველი შეფასებები საკმაოდ მაღალი იყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი შენობა მაღალ დონეზე ჩაბარდა, ახლა ჯერი სპორტსმენებსა და მათ ხელმძღვანელობაზეა.

# სინათლეზე მსუბუქი „რკინის კაცი"

## მეოცე საუკუნის ქანდაკებას ედუარდო ჩილიდა გამოაკლდა

თამარ ბაბუაძე

ბილბაოს გუგენჰეიმის მუზეუმში ედუარდო ჩილიდას ნამუშევართა რეტროსპექტივის გახსნაზე საგანგებოდ აღინიშნა: "ჩილიდა გახლავთ მეოცე საუკუნის ქანდაკების სამი საყრდენი სვეტიდან ერთ-ერთი". ამ შეფასებით ბასკი მოქანდაკე საკმაოდ პრესტიჟულ საზოგადოებაში მოხვდა. მასთან ერთად, მეოცე საუკუნის ქანდაკების საყრდენ სვეტებად რუმინელი კონსტატინ ბრანკუზი და შვეიცარელი ალბერტო ჯაკომეტი აღიარეს.

დღეს, გასული საუკუნის ქანდაკების მაესტროებად შერაცხულებიდან აღარც ერთი ხელოვანი არ გახლავთ ცოცხალი. ყველაზე ბოლოს, 2002 წლის 19 აგვისტოს ედუარდო ჩილიდა გარდაიცვალა. ანუ, მეოცე საუკუნის ქანდაკებას მართლაც უმნიშვნელოვანესი საყრდენი სვეტი გამოაკლდა.

ვასილი კანდინსკის აბსტრაქტული ფანტაზიებით შთაგონებული, სინათლის მაძიებელი, პოეტური და მუსიკალური, ცისკენ მიმართული და ბუნებასთან შერწყმული, და ბოლოს, მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიის ქვასა და რკინაში გადამტანი – ასეთია ჩილიდას სკულპტურული მემკვიდრეობა, რომლის, დათვალიერებაც მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებთან ერთად, ევროპული და ამერიკული ქალაქების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც შეიძლება. ჩილიდას სავიზიტო ბარათად ქცეული რკინის მონუმენტები ხომ კოლორიტს მატებს ულამაზეს ქალაქებს – მოქანდაკის მშობლიური სან სებასტიანიდან შორეულ დალასსა და ლოს ანჯელესამდე.

ჩილიდას, რომელსაც რკინის ხშირად გამოყენებისთვის "რკინის კაცი" შეარქვეს, პირველი ჯილდო კარიერის დასაწყისშივე გადასცეს. ეს იყო სკულპტურის "გრან პრი" 1958 წელს გამართულ ვენეციის ბიენალეზე. მას მოჰყვა კანდინსკის, რემბრანდტის, მელონის და სხვათა პრესტიჟული ჯილდოები.

და ამ ფონზე, გასაკვირი არც არის, რომ გუშინ 78 წლის მოქანდაკეს მთელმა მსოფლიომ მიაგო პატივი. ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა ჩილიდას ნამუშევრების "პოეტურობასა და ჰუმანურობაზე" ისაუბრა, ხოლო ქალაქ სან სებასტიანის თავზე, გლოვის ნიშნად, დროშა დაუშვეს.

ედუარდო ჩილიდა სიცოცხლის ბოლომდე სან სებასტიანში, საკუთარ ვილაში ცხოვრობდა. სანამ 78 წლის ხელოვანი ღამით, ძილში გარდაიცვლებოდა, ყოველ დილას საკუთარი ოთახის დიდი ფანჯრიდან გადაჰყურებდა თავის ყველაზე ცნობილ ქმნილებას – "ქარის სავარცხელს".

"ყოველთვის ვცდილობ, გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც არ ვიცი... როცა მუშაობას ვიწყებ, არასდროს არ ვიცი, საით მივდივარ. თავიდან ვხედავ ფიგურის ბუნდოვან მონახაზს, რომელიც მკვეთრ ფორმას მერე და მერე იძენს... ჩემთვის დასაწყისი ჰგავს სუნს, რომელსაც ჯერ ვერ არკვევ, მაგრამ რომელიც დროთა განმავლობაში მთელ გრძნობელობით სისტემას მოიცავს..." – ამ განწყობით იქმნება ჩილიდას თითოეული ნამუშევარი, დაწყებული მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქანდაკის ჩანაფიქრი ათას ექსპერიმენტს და თავგადასავალს გადის. თანდათან იხვეწება იდეა და სურვილი და შედეგად, მრავალტონიანი რკინის მასა ხელოვნების უმსუბუქეს ქმნილებად იქცევა, რომელსაც საკუთარი ფილოსოფია, განცდა და სიმბოლიკა აქვს. ანუ, მოქანდაკის ჩანაფიქრი ადნობს რკინის სიმძიმეს და მას ლექსივით ექსპრესიულს ხდის... ასეთია ნამუშევრები, რომლებიც ეძღვნება მიროს, გოეთეს, ბახს, წყალს თუ ჰორიზონტს...

ეს არის განცდა, რომელიც ჩილიდას მონუმენტების დათვალიერებისას გიჩნდება. თავად ხელოვანი კი საკუთარი ნამუშევრების მნიშვნელობას ასე ხსნის: "ჩემი სკულპტურები ძალიან დიდია და ისინი წონის, სიმძიმის წინააღმდეგ ამხედრებას ცდილობენ. დიალექტიკა არსებობს ცარიელ და სავსე სივრცეში და, თუ პოზიტიური და მატერიალური სივრცე არ შეავსე, თითქმის შეუძლებელია მათი დიალოგის არსებობა. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს, სავსე და ცარიელ სივრცეს არსებობისთვის სწორედ ერთმანეთთან ურთიერთობა სჭირდებათ".

მართლაც, სწორედ სივრცეები ურთიერთობენ მის ყოველ მონუმენტურ ქმნილებაში. გავიხსენოთ, თუნდაც, "ბერლინი" – რომელიც ორი გერმანიის გაერთიანებას ეძღვნება და ბოლომდე გადმოსცემს გათიშული მხარეების შეერთებით გამოწვეულ ემოციებს და ვნებათაღელვას, გაერთიანებისა და საწყის წერტილში დაბრუნების სურვილსა და შიშს...

ცხადია, ყოველთვის არსებობს კონტექსტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში მნახველს ყველაზე უკეთ ეხმარება მონუმენტის "წაკითხვაში". ჩილიდასთვის ასეთი კონტექსტი ბუნება და ჰორიზონტია. ამიტომაც ასხამს ის ხოტბას წყალს, ჰორიზონტსა და სინათლეს.

გავიხსენოთ, თუნდაც, მისი "წყლის ხოტბა" – ბარსელონას ერთ-ერთ პარკში, პატარა გუბურას თავზე, რკინის თოკებით ჰაერში ჩამოკიდებული მასიური რკინის სკულპტურა, რომელიც წყალში ნათლად აირეკლება და მოვუსმინოთ თავად ხელოვანს: "წყლის ხოტბა" (1987 წ.) ბარსელონას მერიამ შემიკვეთა La Creuta del Coll-ის პარკისთვის. თავიდან ბარსელონელ არქიტექტორებს მივმართე კონსულტაციებისთვის, მაგრამ პარკში მონუმენტის განსათავსებლად საჭირო ადგილი ვერ შევარჩიე. მოულოდნელად პატარა, წყლით ამოვსებული ქვის სატეხი შევნიშნე. იქ შესაძლებელი იყო სკულპტურის წყალზე განთავსება. ასეც მოვიქეცი. სკულპტურის წყალზე შექმნილი ანარეკლი კი ნარცისის მითზე მიგვანიშნებს".

მართლაც, წყლის სტიქია ჩილიდასთვის ერთ-ერთი უზენაესია. ამაში "წყლის ხოტბასთან" ერთად, მისი ყველაზე სახელგანთქმული "ქარის სავარცხელიც" (1977 წ.) გვარწმუნებს. ეს სკულპტურაც – ერთმანეთზე გადაჭდობილი, დაგრეხილი რკინები სან სებასტიანის ზღვის სანაპიროდან პირდაპირ წყალს გადაჰყურებს და ისე ჯდება საერთო კონტექსტში, თითქოს ბუნებრივი წარმონაქმნი იყოს. "ქარის სავარცხელი" ფანტასტიკურ ადგილზეა განთავსებული და ის ზღვასთან ასოცირდება. ზღვა ოდითგანვე ჩემი მბრძანებელია. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. როცა ახალგაზრდა ვიყავი, სკოლაში წასვლის მაგიერ, ზღვის სანაპიროზე მივდიოდი... მაშინ არ ვიცოდი, რომ მოქანდაკე ვიქნებოდი, მაგრამ მგონი, ქვეცნობიერად ყოველთვის ვფიქრობდი "ქარის სავარცხლის" შექმნაზე. სანაპიროა ჩაეყარა, სადაც ამ ნამუშევარს დაედო საფუძველი", – იხსენებს მოქანდაკე.

და ხოტბათა სერიიდან მესამე და ერთ-ერთი ულამაზესი ნამუშევარი – "ჰორიზონტის ხოტბა" (1990 წ.) – ცისკენ მიმართული, ათ მეტრამდე სიმაღლის, ორ, თაღებად დაყოფილ სვეტზე დაყრდნობილი ნახევარწრე, რომელიც ისეთი მსუბუქი და თავისუფალია, რომ უკიდეგანო სივრცის არსებობისთვის, თითქოს, მართლაც მადლობას უხდის ჰორიზონტს. თავად ჩილიდა კი ჰორიზონტს ყველაზე ორიგინალურ დატვირთვას სძენს: "ჰორიზონტი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ყველა ადამიანი თანასწორია და ჰორიზონტზე ეს ყველაზე უკეთ ჩანს – იქ ჩვენ, ყველანი ძმები ვართ. ჰორიზონტი ჩვენი საერთო სამშობლოა. ჩემი სკულპტურა სანაპიროზე დგას, ხიხონში. სანაპირო ის ადგილია, სადაც ადამიანის წინაშე შორეული მანძილი და სივრცე იშლება. ამ ნამუშევრისთვისაც სწორედ ასეთი უკიდეგანო ჰორიზონტი იყო საჭირო".

სიცოცხლის ბოლო წლებში მოქანდაკემ, ალბათ, ყველა ხელოვანის ოცნება აისრულა – მე-16 საუკუნის ფერმა საკუთარ მუზეუმად გადააკეთა. შენობასაც და ულამაზეს ბუნებასაც ჩილიდას ფანტასტიკური ნამუშევრები ამშვენებს...



ბერლინი



ქარის სავარცხელი

ფეხბურთი

## შევარდნაძე გამარჯვებულს მიემხრობა

წელიწადზე მეტი გავიდა კახა კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცებიდან, სამართალდამცავები კი, ამ საქმესთან დაკავშირებით, ახალს ვერაფერს ამბობენ. არადა, საქმის გაუხსნელობამ ქართული ფეხბურთისთვის, შესაძლოა, ერთობ ცუდი შედეგი მოიტანოს. საქმე ისაა, რომ კახა კალაძე ძმის გათავისუფლებამდე არ აპირებს ნაკრებში თამაშს. გამოდის, რომ საქართველოს ნაკრებს კახას გარეშე მოუწევს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჩატარება, თუმცა...

ეს თუმცა საქართველოს მთავრობასა და კახა კალაძეს შორის მოლაპარაკებაა. როგორც გაირკვა, ფეხბურთელთან შეხვედრას აპირებს საქართველოს პრეზიდენტი. შევარდნაძის თქმით, ლევან კალაძის გათავისუფლებაზე დიდი მუშაობა მიმდინარეობს. შეხვედრა, სავარაუდოდ, ფეხბურთელის თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ მოხდება, მანამდე კი კახას გაესაუბრება ნაკრების მწვრთნელი, ალექსანდრე ჩივაძე და შეეცდება ნაკრებში თამაშზე დაიყოლიოს.

შევარდნაძემ, ჟურნალისტებთან საუბრისას, ბადრი პატარკაციშვილის მოღვაწეობას ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში უნიკალური უწოდა. რაც შეეხება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს, ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, მხარს იმას დაუჭერს, ვისაც აირჩევენ.

## საქართველოში, შესაძლოა, პროფესიული საფეხბურთო ლიგა ჩამოყალიბდეს

როგორც უნდა დამთავრდეს 24 აგვისტოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები, ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ მაინც უნდა შეიცვალოს.

ერთ-ერთი ასეთი ცვლილება, შესაძლოა, უკვე მომავალ წელს იხილოს საზოგადოებამ - საქმე პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნას ეხება. ჯერჯერობით გარკვეული და გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ ის, რომ მის შექმნაზე უკვე მუშაობენ, თავისთავად საინტერესოა.

პირველი მოსაზრება საფეხბურთო ლიგის შექმნის თაობაზე, დაახლოებით, ორი წლის წინ წარმოიშვა და ის რუსთავის "გორდას" პრეზიდენტს, თემურ ბუილლიშვილს ეკუთვნოდა. მიზეზთა გამო მასზე მუშაობა შეჩერდა და აი ახლა, როგორც ირკვევა, იდეა განხორციელდება წნორის "მილანის" პრეზიდენტის, მარინა ფირცხალაიშვილის ძალისხმევით. თავად ფირცხალაიშვილი ყოველგვარი კომენტარისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ მთავარი მოვლენები არჩევნების შემდგომ განვითარდება.

საფეხბურთო ლიგა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია და საკმაოდ ნაყოფიერადაც თანამშრომლობს ფეხბურთის ფედერაციასთან. სხვათა შორის, დაახლოებით, ორი კვირის წინ "24 საათის" სტუმარმა ვაჟა ჟვანიამ გამოთქვა მოსაზრება ჟორდანიასა და პეტრიაშვილს შორის ფუნქციების გადანაწილებაზე - ჟორდანია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დარჩენილიყო, ხოლო პეტრიაშვილი პროფესიულ საფეხბურთო ლიგას ჩადგომოდა სათავეში. მთავარია, ერთმანეთთან თანამშრომლობის ფორმა მოძებნონ. მომავალში რა მოხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

რაგბი

## ბრიტანეთი ქართველებს ელის

ქართველ მორაგბეთა უმეტესობა კარიერას საფრანგეთში აგრძელებს. ეს რომ ნაკრების ფრანგი მწვრთნელის, კლოდ სორელის დამსახურებაა, ყველასთვის ნათელია. კარგია ეს, თუ ცუდი ახლა ამაზე არ ვისაუბრებთ, უბრალოდ, თუკი ქართველები საფრანგეთს გარდა ევროპის რომელიმე წამყვანი სარაგბო ქვეყნის ჩემპიონატში ითამაშებენ, სასიხარულო იქნება.

საამისოდ, ჯერჯერობით, არანაირი რეალური წინადადება არაა, მაგრამ ის, რომ ქართველი მორაგბეებით, ფრანგების გარდა, სხვებიც დაინტერესდნენ,თავისთავად საყურადღებოა. ამ დღეებში საქართველოს ორი ინგლისელი სტუმრობდა. მათი მიზანი იყო ინგლისური და ირლანდიური კლუბებისთვის შეერჩიათ მორაგბეები, უფრო ზუსტად კი მოეძებნათ ის ხალხი, ვინც დაეხმარებოდა სპორტსმენთა შერჩევაში. ერთ-ერთის თქმით, საქართველოში იმაზე მეტ პრობლემას წააწყდა, ვიდრე ელოდა, თუმცა ამის გამო, ის მუშაობას არ შეწყვეტს, მით უმეტეს რომ კომპანია, რომელსაც ის წარმოადგენს, ძალიან არის დაინტერესებული ქართველი მორაგბეებით.




## ვინ შესახლდება ჟორდანიას აშენებულ სახლში

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ოფიციალურად და საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი "ქართული ფეხბურთის სახლი". ცერემონიალში იმდენი პრეზიდენტი მონაწილეობდა, სადმე ჯორჯ ბუშიც რომ გამოჩენილიყო, არავის გაუკვირდებოდა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, უეფა-ს პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, პირველი ვიცე-პრეზიდენტითურთ, და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ღონისძიებამ სწრაფად და საქმიან ვითარებაში ჩაიარა. ცერემონიალს ეშხი შემატა ნინი ქარსელაძის, ზუკა ხუციშვილის და ანსამბლ "ქართული ხმების" საესტრადო ნომრებმა. შეკრებილ სპორტულ და პოლიტიკურ ბომონდს ეს ღირსსახსოვარი მოვლენა მიულოცეს რეზო არველაძემ, ალექსანდრე ჩივაძემ, მერაბ ჟორდანიამ, ლენარტ იუჰანსონმა და ედუარდ შევარდნაძემ.



გახსნის ცერემონიალი
მარიკა ამურველაშვილის ფოტო

"შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი თაობის ჩათვლით, ქართული ფეხბურთის ყველა თაობას ვიცნობდი და მათთან ვმეგობრობდი. დიდი მადლობა უეფა-ს, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც ქართულმა ფეხბურთმა ეს მშვენიერი სახლი, მეტსაც ვიტყოდი, სასახლე მიიღო. ახლა სასახლე გვაქვს და შესაბამისად, გამარჯვებები გვჭირდება", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ძნელია, არ დაეთანხმო ბატონ პრეზიდენტს. თუმცა, სპორტულ გამარჯვებებამდე, ქართულ ფეხბურთს, უფრო სწორად, საფეხბურთო საზოგადოებას მთავარი საკითხი აქვს გასარკვევი – ვინ იქნება ქართული ფეხბურთის მესაჭე შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში. 24 აგვისტოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე გაირკვევა, თუ ვინ გახდება ახალი პრეზიდენტი და ვისი გუნდი შესახლდება ახალგამომცხვარ "ქართული ფეხბურთის სახლში".

გახსნის ცერემონიის დასრულების შემდეგ, უეფა-ს პრეზიდენტი და თანმხლები პირები ახალაშენებულ "ლოკომოტივის" სტადიონს ეწვივნენ. უეფა-სთან ერთად, მისი ზემდგომი ორგანიზაცია - ფიფა ფინანსურად გვეხმარება. ფიფა-ს პროგრამა "გოლის" გრანტით, თბილისში, სულ ცოტა ხანში, კიდევ ერთი ევროპული სტანდარტების საფეხბურთო მშენებლობა დასრულდება. საუბარია საქართველოს ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე. ამ ნაგებობის საზეიმო გახსნის ცერემონიალს მომავალი წლის გაზაფხულზე უმაღლესი საფეხბურთო ჩინი, ფიფა-ს პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი დაესწრება.

## კახი ასათიანი: „არჩევნებში გაიმარჯვებს ის, ვინც უნდა გაიმარჯვოს"

მიხეილ აბაიშვილი

სსფ-ის აღმასკომის გადაწყვეტილებით, კახი ასათიანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოახლოებული ყრილობის დელეგატია, თუმცა, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ მას ხმის უფლება ჩამოართვა. ბატონმა კახიმ "24 საათთან" საუბარში, მომავალ ყრილობასა და საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია დააფიქსირა.

– პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, დავით პეტრიაშვილი ჩემი მეგობრის შვილია და ძალიან მწყინს, რომ მას, როგორც მარიონეტს, ისე იყენებენ. წინასაარჩევნო ბრძოლა კი მერაბ ჟორდანიასა და დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფს შორის მიმდინარეობს. როგორც ჩანს, დავით პეტრიაშვილს შეგნებული არ აქვს, რომ მისი ბრძოლა სწორი არ არის. თავად დათო ჟორდანიას გუნდს წარმოადგენდა და, ჩემი აზრით, ახლა სხვადასხვა ბანაკებში არ უნდა იყვნენ. ცხოვრებაში თანამდებობა მთავარი არ არის. სხვისი აზრებით არაფერი არ უნდა აკეთო და სანამ ნაბიჯს გადადგამ, უნდა დაფიქრდე, რამდენად მართალი და კაცური ეს ნაბიჯი.

რაც შეეხება მომავალ არჩევნებს, ჯერ, ალბათ, უნდა გაანალიზდეს, რა გააკეთა ფედერაციის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ. ვფიქრობ, ჟორდანიამ და მისმა გუნდმა მაქსიმუმი გააკეთეს იმისათვის, რომ ქართული ფეხბურთი განვითარებისა და პროგრესის რელსებზე დამდგარიყო. ფული, რომელიც მოდიოდა უეფა-დან და ფიფა-დან, აგრეთვე, ფედერაციის მიერ მოზიდული თანხები, მიზნობრივად არის დახარჯული. ნაკლი, რა თქმა უნდა, ყველას შეიძლება ჰქონდეს და ამ მხრივ არც ეს ფედერაციაა გამონაკლისი, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს ფეხბურთის ფედერაცია დაკომპლექტებულია წესიერი და პროფესიონალი კადრებით, რომელთაც ქართული ფეხბურთი აღმავლობის გზით მიჰყავთ.

***– რა კომენტარს გაუკეთებდით სასამართლოს გადაწყვეტილებას?***

– ეს, საერთოდ, სასაცილოდ მიმაჩნია. ცოტა არ იყოს, სირცხვილია, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა ხურცილავას, ელოშვილის, ასათიანის, არველაძისა და სხვა ცნობილი ვეტერანების ყრილობაზე მონაწილეობის საკითხი დააყენა. როგორ შეიძლებოდა, საერთოდ, ამ თემის წამოჭრა? მერწმუნეთ, ამან პეტრიაშვილის საწინააღმდეგოდ იმუშავა.



კახი ასათიანი
იური ლობოდინის ფოტო

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართულ ფეხბურთში დღეს ძალიან ბევრი ისეთი ღვაწლმოსილი და დამსახურებული პიროვნებაა, რომლებსაც შეიძლება, იმავე ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მოსვლის საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდეთ. მაგრამ მათ კანდიდატურის წამოყენებაც კი არ უცდიათ. ესე იგი, მერაბ ჟორდანიას ვიღაცა პატივს სცემს, ეტყობა, რაღაც გააკეთა და აქედან გამომდინარეა ეს ყველაფერი. ცხადია, რომ პეტრიაშვილის სახით ხელოვნურად შექმნეს ჟორდანიას კონკურენტი. ის სიტუაციაც, ყველა დასაშვებ და დაუშვებელ მეთოდებს რომ მიმართავენ რაც შეიძლება მეტი ხმის მოსაპოვებლად, არასწორია. წესიერება და კაცობა ჩვენს ერში არ უნდა დაიკარგოს.

***– თქვენი აზრით, ვისი გამარჯვებით დასრულდება 24 აგვისტოს ყრილობა და არჩევნები?***

– მგონი, სიმართლე და კაცობა, ფეხბურთელებში და ფეხბურთის სამყაროში არ დაკარგულა. გაიმარჯვებს ის, ვინც უნდა გაიმარჯვოს.

## ვამპირი, გოძილა, გორილა, პითეკანთროპი...

დიმიტრი ობოლაძე

...და მოფერებით მაიმუნი. ეს გახლავთ გერმანიის, "ბაიერნისა" და ალბათ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის, ოლივერ კანის მეტსახელები. 32 წლის კანს ხუმრობა არ უყვარს, განსაკუთრებით, მოედანზე. 1999 წლის აპრილში მან დორტმუნდის "ბორუსიას" ფეხბურთელს, ჰაიკო ჰერლიხს ყურზე უკბინა. მიუხედავად ამისა, კლუბმა მასთან კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა. საუბრობენ იმაზეც, რომ კანმა ყურზე არა მარტო ჰერლიხს უკბინა, არამედ ვეტერან, პატივცემულ ანდრეას მიოლერსაც.

ბავარიის ოლქის ყველაზე ცნობილმა სატირიკოსმა კი ასეთი ფრაზაც შეთხზა: "ჩვენი ცოფიანი ძაღლი არ გიკბენთ. მას მხოლოდ თქვენთან თამაში სურს." ოლივერ კანი დაუნდობელია არა მარტო მოწინააღმდეგის, არამედ თანაგუნდელთა მიმართაც. რუსი ფორვარდი, სერგეი კირიაკოვი, რომელიც კანთან ერთად "კარლსრუეში" თამაშობდა, დღესაც მორიდებით საუბრობს. "მისთვის მეტსახელის შერქმევა არც გვიფიქრია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გუნდში არც ერთი კამიკაძე არ თამაშობდა."

ოლივერ კანის აგრესიის მიზეზი ბავშვობაში უნდა ვეძებოთ. მას ბავშვობიდანვე ცუდი დიქცია ჰქონდა, სიტყვებს ამახინჯებდა. ამის გამო თანაკლასელები დასცინოდნენ. ლოგოპედები ამბობდნენ, რომ ოლივერი ვერასოდეს იმეტყველებდა, მაგრამ კანმა ნებისყოფა გამოიჩინა და გამართულად საუბარი დამოუკიდებლად დაიწყო. თანაც, იგი კარგად სწავლობდა და უნდოდა, მფრინავი გამხდარიყო. საბოლოოდ, მისი ბედი ფეხბურთს დაუკავშირდა და მსოფლიომ საუკეთესო მეკარე მიიღო. თუმცა, თავიდან ყველაფერი ასე დაიწყო - კანი "კარლსრუეს" სათადარიგოთა სკამს ვერ სცილდებოდა. "აუსრულებელი სურვილი არ არსებობს. მე ერთი მიზანი მაქვს, - განაცხადა მეკარემ, - 23 წლის ასაკში პირველი მეკარე უნდა გავხდე."



ოლივერ კანი
REUTERS

1994 წლის ივლისში კანი მიუნჰენში გადადის და "ბაიერნის" კარის დარაჯი ხდება. ამ დიდებულმა ფეხბურთელმა ყველა მნიშვნელოვანი ტიტული, სწორედ, ამ კლუბთან ერთად მოიპოვა. 1997, 1999 და 2000 წლებში იგი ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა; 1998 და 2000 წლებში კანმა გერმანიის თასი მოიპოვა; მონაწილეობდა 1996 და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატებში, ითამაშა 1998, 2002 წლის მსოფლიოს პირველობებზეც; 1999 წელს მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გახდა, 2002 წელს კი, აიღო ოქროს ბურთი.

სწორედ, კანს ეკუთვნის ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო "მშრალი" სერია. 1998 წლის 4 დეკემბრიდან 1999 წლის 3 აპრილამდე ოლივერ კანმა 36 წუთის განმავლობაში საკუთარი კარი მშრალად შეინახა. ხუმრობით იმასაც ამბობენ, რომ კანის კარს რაღაც "სხვა ძალები" იცავენ. ფიზიკურად ისედაც ძლიერი, ათლეტური აღნაგობის (188 სანტიმეტრი, 88 კილოგრამი) კანი კარში დგომისას კიდევ უფრო "ფართოვდება" და მისთვის გოლის გატანა მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ბრაზილიელი რონალდო ერთი-ერთზე გავიდა და უბრალოდ დაიბნა. სხვა დროს რონალდო აუცილებლად გაიტანდა. თუმცა, ბრაზილიელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ რონალდომ მაინც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი.

მეკარემ, რომლისთვისაც გოლის გატანა სერიოზული პრობლემაა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კანის დამშვიდებას თვით მსაჯი, პიერლუიჯი კოლინაც კი ცდილობდა. "მას ეს არ გამოუვიდა, - განაცხადა კანმა, - კოლინა კარგი ადამიანია და ძლიერი მსაჯი, მაგრამ, მასთან მხოლოდ კოშმარული მოგონებები მაკავშირებს. ჩემპიონთა ლიგის ფინალში ჩვენი დამარცხება მხოლოდ ეშმაკს თუ შეეძლო, "მანჩესტერმა" კი მოიგო. მე აქ მსაჯის შეცდომებზე არ ვსაუბრობ. იგი, უბრალოდ, თარსია. შემდეგი კოშმარი - გერმანია საკუთარ მოედანზე ინგლისთან 1:5-ს აგებს. მსაჯი კოლინაა. და ეს ფინალი – მოკლედ, კოლინას დანახვაც არ მინდა."

## სპორტული საჩუქარი მობილური აბონენტებისთვის

დღეს ტრაპიზონში საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს დამატებით ორმოცი გულშემატკივარი შეემატება. "ჯეოსელმა" აქტიური, კომპანიის საქმიანობაში კარგად ჩახედული აბონენტები თურქეთში სამდღიანი მოგზაურობითა და საქართველო-თურქეთის საფეხბურთო მატჩზე დასასწრები ბილეთებით დააჯილდოვა.

თითოეულ გამარჯვებულს ეს სიამოვნება ოთხი სწორი პასუხის შესაბამისად, ოთხი ლარი დაუჯდა. საქმე იმაშია, რომ 12-დან 15 აგვისტომდე კომპანიის მარკეტინგულმა სამსახურმა "ჯეოსელის" აბონენტებისთვის რადიო "ფორტუნა პლიუსის" პირდაპირ ეთერში ოთხდღიანი ვიქტორინა მოაწყო. თამაშში, მოკლე შეტყობინებების სერვისის საშუალებით, მხოლოდ კომპანიის აბონენტები მონაწილეობდნენ. საამისოდ მათ უნდა ჰქონოდათ ჩართული sms მომსახურება და ყოფილიყვნენ კომპანიის აქტიური მომხმარებლები, რადგანაც ვიქტორინის ოთხივე შეკითხვა "ჯეოსელის" საქმიანობას ეხებოდა. შეკითხვები კი აბონენტებისთვის არც ისე რთული უნდა ყოფილიყო. მაგალითად, რომელი წლიდან სარგებლობენ "ჯეოსელის" აბონენტები ტექსტური შეტყობინების (sms) მომსახურებით? ან რამდენი უფასო წუთით ასაჩუქრებს კომპანია აბონენტებს ყოველთვიურად? – პასუხი, მგონი, არა მხოლოდ ამ კომპანიის მომხმარებლებმა იციან (სხვათა შორის, არც დანარჩენი ორი შეკითხვა იყო რთული: რა ღირს ლაი-ლაი ბარათის სასტარტო პაკეტი? და რომელი წლიდან დაიწყო "ჯეოსელმა" საქმიანობა?). აღსანიშნავია, რომ შეკითხვასთან ერთად მონაწილე სავარაუდო ოთხ პასუხსაც ეცნობოდა.

ვიქტორინაში სულ "ჯეოსელის" ოთხასამდე აბონენტმა მიიღო მონაწილეობა; ეს კი, თითოეულს მოკლე შეტყობინებების რაოდენობის შესაბამისი თანხა (თითო sms -ერთი ლარი) დაუჯდა. კომპანიამ ვიქტორინას პრიზით - თურქეთში უფასო საგზურითა და ტრაპიზონში, თურქეთ-საქართველოს ნაკრები გუნდების საფეხბურთო მატჩზე დასასწრები ბილეთებით, საკონკურსო პერიოდში, ყოველდღიურად პირველი ათი სწორი პასუხის ავტორი დააჯილდოვა.

გუშინ ვიქტორინის ორმოცივე გამარჯვებული ტრაპიზონში გაემგზავრა. საფეხბურთო მატჩის დაწყებამდე გამარჯვებულები დაათვალიერებენ ქალაქს და 22 აგვისტოს დაბრუნდებიან თბილისში. კომპანია კი ამასობაში აჭარელი აბონენტებისთვის წამახალისებელი აქციისთვის ემზადება.

## ჯეფრი არჩერის სასარგებლო კონტრაქტი

ლორდ ჯეფრი არჩერს ციხეში ერთ-ერთმა წიგნის გამომცემლობამ მრავალმილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. პარლამენტის კონსერვატორული პარტიის ყოფილი წარმომადგენელი, ამჟამად ცრუმოწმის ბრალდებით ციხეში ზის.

პოპულარულმა მწერალმა გადაწყვიტა გამომცემლობა Harper Collins-ი ახალ პარტნიორზე, Macmillan Publishers-ზე გაცვალოს. ამ უკანასკნელმა არჩერს 10 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესთავაზა. ახლახან დასრულებული მოლაპარაკების თანახმად, არჩერის ახალ წიგნს Sons Of Fortune Macmillan Publishers, უკვე მომავალი წლის დასაწყისში გამოსცემს. ძველ გამომცემლობასთან ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზი პირობის დარღვევაა – საქმე იმაშია, რომ გამომცემლობას მწერლის ორი რომანი და მოთხრობების კრებული უნდა დაებეჭდა. ამჟამად მწერალი კმაყოფილია ახალი პარტნიორითა და საკუთარი ნაშრომით. მისი თქმით, ახალი რომანი თითქმის დასრულებულია და ის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მწერლის შემოქმედებაში.

კმაყოფილია ასევე Macmillan Publishers-ის დირექტორიც: "ჩვენ ბედნიერები ვართ ჯეფრი არჩერთან თანამშრომლობით, იგი ხომ თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ავტორია, ახალი რომანი ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ამართლებს".

ნაწარმოები Sons Of Fortune პოლიტიკური თრილერია, სადაც მოქმედება აშშ-ში ხდება; ხოლო სიუჟეტის ძირითადი თემა ტყუპების ისტორიაა. რომანზე მუშაობა არჩერმა ციხეში დაიწყო. რომანის პარალელურად, არჩერი ამჟამად მუშაობს მემუარებზეც, რასაც ასევე Macmillan Publishers გამოაქვეყნებს.

## ლურჯი ჯინსები, ლურჯი თვალები

იმის გათვალისწინებით, რომ ჯინსებზე პოპულარული ტანსაცმელი ალბათ არ არსებობს, ვიზაჟისტებმა ახალი კოსმეტიკა შექმნეს, Denim Dish. მისი წყალობით 15 წლის წინათ მოდიდან გასული ლურჯად და ცისფრად შეღებილი თვალები კვლავ აქტუალური გახდა. შეგიძლიათ სწორედ ის ფერი შეარჩიოთ, რა ფერის ჯინსიც გაცვიათ, უზარმაზარი არჩევანია – მკრთალი ცისფერიდან მუქ ლურჯამდე.




# მადონას ნაკვალევზე

ამერიკას კიდევ ერთი ვარსკვლავი დატოვებს. ანასტასიამ, შესაძლოა, მადონას მიბაძოს და საცხოვრებლად ლონდონში გადაბარგდეს. როგორც ამბობენ, მას საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უჭირს. "ყოველთვის ვფიქრობდი ლონდონში ცხოვრებაზე – ამბობს თავად მომღერალი, - მაგრამ, ერთადერთი, რაც მაბრკოლებს, ეს ბრიტანული საგზაო წესებია: მიუჩვეველი ვარ მარჯვენა მხარეს საჭესთან ჯდომას".

მაგრამ, ნაღდი ნიუ-იორკელისთვის, ცხადია, ეს არ იქნება ერთადერთი მიზეზი. იმის მიუხედავად, რომ ანასტასიას აშშ-ზე ადრე ევროპულ მუსიკალურ ბაზარზე გაუხსნეს კარი ფართოდ, მომღერალს უჭირს სამშობლოს დატოვება.

"ერთი თვის წინათ ამერიკაში ჩემი ალბომი გამოვიდა. დისკის პრომოუშენისას მინდოდა სამი თვით წავსულიყავი აქედან და დავბრუნებულიყავი როგორც ნამდვილი სუპერვარსკვლავი, მაგრამ ამერიკა ძუნწი ქვეყანაა – გაიძულებს, რაც შეიძლება მეტი ხნით დარჩე აქ," – უკმაყოფილებას ვერ მალავს ვარსკვლავი.



ანასტასია ლონდონში აპირებს ცხოვრებას REUTERS

# ჯაზი პირველი კლასიდან

აბა, სხვაგან სად მიიღებდნენ ასეთ გადაწყვეტილებას, თუ არა ახალ ორლეანში, საიდანაც ჯაზმა მსოფლიოს დაპყრობა დაიწყო. 2003 წლის შემოდგომიდან იქ ხუთ საშუალო სკოლაში ჯაზის გაკვეთილებს შემოიღებენ. ცნობილი პიანისტის, ელის მარსალისის იდეას ახალი ორლეანის უნივერსიტეტი და ლუი არმსტრონგის საგანმანათლებლო ფონდი განახორციელებს. იდეას სიხარულით შეეგება ახალი ორლეანის უნივერსიტეტის დეკანი ჯეფ კოკსი.

ელის მარსალისის წვლილი ჯაზის განვითარებაში საქვეყნოდ ცნობილია. პიანისტი ერთ-ერთი ჯაზური ოჯახის პატრიარქია. მისი ოჯახის წევრები არიან ცნობილი მარსალისები: მესაყვირე ვაინტონი; საქსოფონისტი – ბრენფორდი; ტრომბონისტი – დელფო და დრამერი – ჯეისონი.

ამჟამად იდეის ავტორები ძირითადად, ფინანსების ძიებით არიან დაკავებულები. პირველ რიგში მათ უნდა გააქირაონ ხუთი მუსიკოსი, რომლებიც ჯაზის რეგულარული გაკვეთილებისთვის კონცერტებს გამართავენ სკოლებში.

# ზღვით გამოწვეული ახალი სტრესი

ბოლო ფსიქოლოგიური კვლევების შედეგებით, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ არსებობს ახალი ტიპის სტრესი – პლაჟის სტრესი. მისი გამომწვევი მიზეზი ზღვის სანაპიროებზე კარგი ადგილის დაკარგვაა. ანუ, თვითმფრინავებში, ავტობუსებში არაკომფორტულად მგზავრობასთან ერთად, ადამიანები მტკივნეულად განიცდიან პლაჟზე თავისუფალი სივრცის დაკარგვასაც.

ეს ახალი სინდრომი მეცნიერებმა ბრაიტონისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის პლაჟებზე სპეციალური კვლევის დასრულების შემდეგ აღმოაჩინეს. გაირკვა, რომ დამსვენებლებს ისევე უშლით ნერვებს გადაჭედილ პლაჟებზე წოლა, როგორც პიკის საათების დროს ავტომობილების კილომეტრიან რიგებში ლოდინი. ტურისტებს, რომლებიც მზეს გაჭედილ სანაპიროებზე ეფიცხებიან, განწყობა უფუჭდებათ და მიღებულ სტრესს ვერც კარგი ამინდითა და ლურჯი ზღვის ცქერით უმკლავდებიან. მეტიც, ყოველი ხუთი გამოკითხულიდან ერთი აცხადებს, რომ ასეთ პლაჟებზე საცურაო კოსტუმის გამოცვლის რცხვენია და ცურვასაც ერიდება.

ანუ, როგორც ხედავთ, საქმე გვაქვს ე.წ. "პირადი სივრცის" დარღვევასთან. კვლევის მიხედვით, ამ ფაქტორს ინგლისელებზე მეტად განიცდიან ფრანგები – მათთვის იდეალურია ის პლაჟი, სადაც ადამიანებს შორის დაშორება დაახლოებით 90 სმ-ია.

სტრესთან გამკლავებას დამსვენებლები ერთგვარი ბარიერის აშენებით ცდილობენ. ისინი პლაჟებზე წიგნების, ტანსაცმლის, პირსახოცების "ღობის" მიღმა იმალებიან და გვერდით მწოლიარე უცხო ადამიანებისგან გამოყოფას ასე ცდილობენ.

# პრინცესა აივნიდან გადახტა

გაზეთი "სანდი თაიმსი" პრინცესა დაიანას პირადი მცველის, კენ ვარფის წიგნს "დაიანა: კარგად დაცული საიდუმლო" სერიებად ბეჭდავს. ახლახან გამოქვეყნებულ წერილში ერთი საინტერესო ისტორიაა მოთხრობილი. ვარფი იგონებს, რომ 1993 წლის ზამთარში, ავსტრიულ კურორტზე, უელსის პრინცესამ პაპარაცებისგან თავი აივნიდან გადახტომით დაიხსნა. ექვსი მეტრის სიმაღლიდან პრინცესა პირდაპირ თოვლში ჩახტა და ქალაქის ცენტრისკენ გაიქცა. მოგვიანებით პირად მცველს მან თავისი საქციელი ასე აუხსნა: "ჰაერი მჭირდებოდა, ვიცოდი, რომ არაფერი დამიშავდებოდა და ამიტომაც გადავხტი".

კენ ვარფი უელსის პრინცესას 1988-93 წლებში იცავდა. ის თავის წიგნში ჩარლზისა და დაიანას ურთიერთობასაც განიხილავს. იხსენებს, თუ როგორ ეჭვიანობდა პრინცესა კამილა პარკერ ბოულსზე. "ერთხელ, საერთო წვეულებაზე, რომელიც სამეფო იახტაზე იმართებოდა, დაიანა დაიკარგა. ის ვერსად ვიპოვეთ, ეჭვი გვქონდა, რომ გემბანიდან გადახტა. თუმცა, მოგვიანებით იახტის ერთ ბნელ კუთხეში წავაწყდი. თურმე, ორი საათის განმავლობაში თავისთვის იჯდა და ტიროდა", - იგონებს მცველი. შემდეგ პრინცესამ ვარფთან "როტვეილერის" (ასე ეძახდა ის მეუღლის საყვარელს, კამილა პარკერს) შესახებ საუბრითაც მოიოხა გული...



ჩარლზი და დიანა - ერთად თუ ცალ-ცალკე?..

ვარფის თქმით, კამილაზე ეჭვიანობის მიზეზი პრინცესას ნამდვილად ჰქონდა. "ერთხელ, ერთ-ერთ წვეულებაზე, პრინცესას ბავშვების ოთახში ჩავყევი. იქ მოულოდნელად კამილას და ჩარლზს წავაწყდით. მარტონი ისხდნენ და საუბრობდნენ. ჩემი აზრით, ეს იყო გადამწყვეტი მომენტი. ამ შემთხვევის შემდეგ დაიანა საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რისი დაჯერებაც მანამდე არ სურდა", - ნათქვამია წიგნში.

უმაღლესი განათლება
დიდ ბრიტანეთში

თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ
უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით
შედარებით დაბალ ფასებში
დაგვიკავშირდით:

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეტში
29 აგვისტოს შემდეგ
+441978293404

- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი
www.newi.ac.uk

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## TV პროგრამა 21 აგვისტო

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 "ცხოველთა ომები"
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 "ლუისი და კლარკი"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაროუბის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "პიკის საათი 2" მთ.როლებში ჯეკი ჩანი, კრის ტაკერი

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამბე
08.10 "წყვილები და დუეტები"
08.35 სერიალი "მარკო პოლო"
09.20 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 18.50 ვიდეოპატრული
12.55 მხ. ფილმი "შეხვედრა მთაში"
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. სენეგალი - თურქეთი (განმეორებითი ჩვენება)
17.10 "ჩემი გოგლა"
17.45 "ერთი თეთრიც ფულია"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.00 სიტყვა კაზმული
19.40 გასტი-ბუზუ
20.55 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 აგროგიზნესბანკი
22.10 მხ. ფილმი "ტრუფალდინო ბერგამოდან"
00.30 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.50 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
01.10 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "უცნობი პიროვნებები"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "სამურაი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-12 სერია
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "იარაღის გზა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "სიყვარულის ფურცელი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.15 ბურთი და მოედანი
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ტეხასის რეინჯერები"
22.30 ძველი კინო "ცხოვრება მშვენიერია"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 "ტოროლა"
11.30 "მო" განმეორებით
13.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
13.45 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "მევერიკი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 "ჩაძიროგანა"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "რაინდის ისტორია".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "მარსის მოჩვენებები".
03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე"
13.35 მხ.ფ. "დრაკონის კოცნა"
15.10 მხ.ფ. "ლამაზმანი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "დათვი"
22.30 მხ.ფ. "შერბურული ქოლგები"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" 30-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 30-ე სერია
10.15, 12.35, 14.45, 17.10, 21.40, 23.55, 00.20 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "მევერიკი"
12.45 დოკ. ფილმი "ზინგი - მისი ლეგენდარული წლები"
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
15.00 მხ. ფილმი "სინათლე ბნელში"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 31-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 31-ე სერია
18.45 მხ.ფ. "გაქცევა" 1-ლი სერია მთ.როლებში ალ. ბატალოვი, ვ. საველევა
20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.10 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
21.30 დოკ. ფილმი
21.50 მხ.ფ. "ოუშენის 11 მეგობარი" მთ. როლებში ჯორჯ კლუნი, ბრედ პიტი, ჯულია რობერტსი
00.40 მხ.ფ. "ანა კარენინა". მთ. როლში სოფი მარსო

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ელისო"
10.45 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "შეშლილი პროფესორი"
14.00 დრამა "ტელევიქტორინა"
16.15 მულტსერიალი "უხსოვარი დროის დედამიწა-2"
17.25 თრილერი "შეთქმულება თეთრ სახლში"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30, 23.15 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მხატვრული ფილმი "ქალაქი ადრე იღვიძებს"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
01.05 თრილერი "ჩალის ქოფაკები"
03.30 მელოდრამა "ჰოლივუდის პრინცესა"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ავტოტრეკინგი" (წლის საუკეთესო გადაცემა)
11.40 მულტსერიალი
12.00 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.20 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.25 "სახლიდან გაუსვლელად"
12.55 მუსიკალური ბიორითმი
13.20 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.20 სპორტი
14.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.35 მოკლედ... სპორტი
21.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.55 "სახლიდან გაუსვლელად"
22.25 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ერთ მშვენიერ დღეს"
00.10 პრესის მიმოხილვა
00.20 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - მხ.ფილმი "კერკეტი კაკალი"
03.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" Х.ф. "ПОБЕГ"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.20 "Народ против"
15.05, 22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ"
16.15 "Кумиры"
16.50 "ТЕНИ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
20.10 х.ф. "ТАЙНЫЙ АГЕНТ РОЙС"
22.00 Время.
23.40 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.05 "ЧИЛОВЕК НИОТКУДА"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 Диалоги о животных
11.00 "ВОЗВРАЩЕНИЕ БУДУЛАЯ"
12.20 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ЧУЖАЯ МАСКА" 1-я часть
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОИНТ"
15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. УБИЙСТВО НА ПОЛЕ ДЛЯ ГОЛЬФА"
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ЧУЖАЯ МАСКА" 2-я часть
23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф."ИМИТАТОР"
02.15 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Испании - Сборная Ирландии. 1/2 финал.

### НТВ

07.00 "СЕГОДНЯ УТРОМ" Информационно-развлекательная программа
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ОПАСНАЯ БЛИЗОСТЬ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ Информационная программа
11.25 "ВНИМАННИЕ. РОЗЫСК!" "Убийство в зале суда"
12.20 "РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ" с Павлом Лобковым
13.20 "НА ВОЙНЕ КАК НА ВОЙНЕ" фильм. В ролях: Михаил Кононов, Олег Борисов, Виктор Павлов и Михаил Глузский
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня. "ВЕРИТЬ ЛИ В ПРИМЕТЫ?"
16.40 "КРИМИНАЛ"
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
18.35 "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ" боевик режиссера Джона Ву
19.40 "КРИМИНАЛ"
20.40 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ОГОНЬ НА ОПЕРЕЖЕНИЕ"
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ -4" сериал. США
00.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ВСЕ ЭТО РОК-Н-РОЛЛ"
01.35 ГОРДОН
02.25 "МУЗЫКА ИНЫХ СФЕР" триллер. США

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024

იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში